

699A



საქართველოს  
ქრონიკის ეროვნული  
ბიბლიოთეკა

F 75  
1916

# ნაწილად

საქართველოს  
ეკონომიკა



1916



თბილისი, № I.

მოზრდილთათვის.

# ნაკადული

საქართველო  
საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო

ფელისია ბი-ნი.

№ 1.

1916წ.



მ.ს.

ფელისია ბი-ნი  
საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო

297

მომილოცავს

საქართველოს საბჭოთაო  
თბილისი  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო

## შინაარსი

I—მოპილოცავს, —სურათი . . . . .	1
II—პატარა შეკვლე, —ლექსი ა. სიხარულაძისა . . . . .	3
III—წერილი, —დ. ვედრებასუღასა . . . . .	6
IV—ბეგანისა და მანიჭარის არაკი, —სამეგრელოში ჩაწე- რილი ზღაპარი იოსებ ყიფშიძის მიერ . . . . .	17
V—შობის სურათი სოფლად, —ლექსი ა. სიხარულაძისა . . . . .	23
VI—პრისხანე ყენი, —ჭალატყუდასა . . . . .	25
VII—პატარა ტაცი, —თარგმანი გარეყუდასა . . . . .	33
VIII—ძვირფას აკაკის ხსოვნას, —ა—სა . . . . .	43
IX—სამკურნალო ხელოვნება და სახელგანთქმული მკურ- ნალები, —ავ. როსტომაშვილისა . . . . .	50
X—მკითხველების წერილები: -- ნაშთები, დ. გაგლოშვილისა . . . . .	59
XI—გასართობი: —ჭადრაკის გამომგონის ჯილდო, შარა- დები ჭ რებუსი . . . . .	64



სეფიანო

აიხა. I. 117

## პატარა მეკვლე

(საახალწლო სტაბილი)



ამღებმა ყივილს უბშირეს,  
ტყდება სიბნელე ღამისა;  
პატარა ნიკო მეკვლეობს,  
ნაცვლად ომში მყოფ შამისა;

ხელში უკირავს თაბახი,  
ღამაზად გაწყობილია:







ზედ პური, ლომი, სიმინდი,  
 თან ჩურჩხელები ტკბილია.

ვაშლები, ბროწეულები,  
 იქვე კვერცხები უმია;  
 ვერცხლისა ფული ქისაში,  
 ლაქლატა აბრეშუმი...

ყველაფერია სოტ-სოტა,  
 თაბახი გავსებულია,  
 და ამიტომაც ჩვენ შეკვლეს  
 სიამით უძგერს გულია!..

ქობის კარებთან სდგას ნიკო,  
 ლოკულობს ბავშურ რწმენითა,  
 ქობში მყოფ დედას შესძახის,  
 დინჯად და ტკბილის ენითა:

—კარი გამიღე!—რა მოგაქვს?!—  
 —პურ-ღვინო, კირნახულიო,  
 აბრეშუმი და ჩურჩხელა,  
 თაფლი და ვერცხლის ფულიო!..

კარი გამიღე!!—რა მოგაქვს?!?!  
 —სიამე, ნეტარებაო,  
 თან კაცთა შორის შშვიდობის  
 და ძმობის დამყარებაო!

—კარი გამიღე!!!—რა მოგაქვს?!?!  
 წერილი გასახარო;  
 გამოიცანი თუ—ვისგან?  
 ანდა—გამიღე კარიო!

დედამ კარები გაუღო,  
 შეიღს მოეხვია, აკოცა;  
 ნიკომ წერილი ჯიბიდან  
 ნელ-ნელა ამოაცოცა:

პა, ეს წერილი, დედილო,  
 გუშინ მოვიდა საღამოს;  
 გუშინ რომ მეთქვა ეს შენთვის,  
 დღეს რას გეტყობი საამოს...

მიყურე! მამა გვილოცავს  
 ახალ წელიწადს, შობასა;  
 კარგად ყოფილა, მის ნაცვლად  
 მავალებს შეკვლეობასა...

დედა სიამის ცრემლებს ღვრის,  
 თან შეიღს უკოცნის თვალებსა,  
 ჩიჩილაკის ქვეშ პრიალი  
 ვააქვს სანთლების ალებსა:

კერასთან ცეცხლი გიზგიზებს,  
 ქოხი ეძღვევს ღებნასა,  
 დედა აცრემლილ თვალს იწმენდს,  
 მადლობას სწირავს ზენასა.

ი. სიხარულიძე





ქრონიკული  
ზიგლიოთეკა

## წ ე რ ი ლ ი



სინი ცხოვრობდნენ მთებში, სადაც ადრე მიეშურებოდა ზამთარი თავისი თეთრი ნაბლით.

იმ დროს, როცა ძირს, ბარში, გაყინულ, გაქვავებულ მიწაზე რაბრახი გაჰქონდა ურმის გორგოლაკებს, აქ, მაღლობში, როცა ნელ-ნელა ამოდირდა წითელი მზე, ათას ფრად აინთებოდა ხოლმე თოვლი.

ვიწრო ბილიკი თოვლს შუა გველივით იკლაკნებოდა; ხან ოდნავ ბრკყვიანავდა იმისი ზურგი, ხან მიბობდა ძირს, იმალებოდა ხეობაში, თასმის მზგავსად მოჩანდა ფიკვებში; სიყვარულით ეტანებოდა გაჩუმებულ ძამას, რომლის ანკარა წყალში ქვების დათვლა შეიძლებოდა.

პატარა სახლი სამსონ ქარიჭაშვილისა ბარიდან ისე ჩანდა, თითქო რალაც მუქი ფერის ყუთი მიუკრავთ მთის მწვერვალზეო.



სახლი ორად გაყოფილ ერთ ოთახისაგან შესდგმული ერთ ნახევარში სახლობა ცხოვრობდა, მეორეში საქონელი ჰყვანდათ.

წინა დროებში ნამეტანი ვიწროობა იყო; შემდეგ-კი ვინ მოკვდა, ვინ დაქორწილდა და გაიყარა, ვინ გათხოვდა, წავიდა ქმრის ოჯახში.

დაიფანტა ოჯახი და ახლა ხალვათად იყვნენ დანარჩენები სამსონის სახლში.

გამურულ-ქერიანი, პატარა-ფანჯრებიანი პაწია ოთახი დაღონებით იცქირებოდა ძირს მინდვრებისაკენ. დაღონებით გადმომცქირალი სახლი, სამსონის ოჯახის სამყოფი იყო.

ორი დაბალი ტახტი, სიგძით სურათებ-გაკრულ კედელთან მიმდგარი: წითელ-ჩოხიან ყახახს აუგია შუბზე სამი გერმანელი. მეორე ნახტი იაპონიის ომიდანაა:—რუსებს აუფეთქავთ იაპონიის სამი გემი: ნატეხები ჰაერში იფანტება. ერთი ვეება თუნუქ-გადაკრული სკივრი ძველი ნახატებით გარშემოვლებულია: მოხუცი, წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი უთავაზებს ყვავილს ახალგაზდა ქალს, რომელსაც აცვია იასამანის ფერი ძველებური „ხაბარდა“. კუნჭულში სკივრსა და გოდრებს შუაგძელი გაქონილი სკამი და კიდობანი—აი უბრალო მოწყობილება, რომელსაც ნახავთ თითქმის მთაში მცხოვრებ ყველა გლეხკაცის სახლში.

ცივი დღე ილეოდა. მზის უკანასკნელმა სხივებმა წამიერად მოაფარაყვს სახლის სახურავი და გაქრნენ.

მოკურავდა ზამთრის ბინდი; ლურჯი ფერი გადაეკრა თოვლს.

სიჩუმე და სითბო იდგა სამსონის სახლში.

გაქვართლულ ბუბრის თავზე იდგა ვეება ლამაზა, რომელსაც შეშხაროდა მთელი სახლობა.

ძლიერ იშვიათია ლამაზა ჩვენ ქართლში, მეტადრე მიყრუებულ ადგილებში, სადაც გავრცელებულია კრაქები; იმათი კომლი ძალიან უფუჭებს ხალხს თვალებს.

ქარიკაშვილი ცხოვრობდა ტყეში, მაგრამ ხშირად სწავლავდა მის სახლში: მას არა ჰქონდა ნება უფასოდ გამოეტანა ტყიდან არც ერთი ჩხირი.

დიდი ხანია, რაც კლდეებ შუა მომწყვდელი გამოფიტული მიწა აღარ აძლევს სამსონს საკმაო მოსავალს.

ერთმა ძმა-კაცმა შემოდგომაზე აჩუქა სამსონს ორი მოკრილი ბე: ერთი ნელ-ნელა დაწვეს, მეორეს—ინახავდნენ ტახტის ქვეშ.

— არ დაინახოს ბატონმა, თორემ მოპარული ეგონება,— ეტყოდა ხოლმე ცოლ-შვილს სამსონი.— იმ წუთში ბე-ტყის გამოსატან ბარათს მომკითხავს, ტყის ყარაულსაც ებგერება, რას უყურებდიო, საშსონს გადაახდევინებს ჯარიმას.

როცა ამას ამბობდა, ისე დღელავდა სამსონი, თითქო უკვე მოსულა მასთან მებატონე და ეჩხუბება ნაქურდალის გამოო.

უკვე დაბნელდა.

თითქო ვიღამაც დააქვდა ცაზე აქა-იქ ოქროს ლურსმნები.

თითონ თამარი და მისი ორი ქალი—ნადედა და შავთვალა, კობტა, ცქრიალა ანუ სა ჩვეულებრივ ფუსფუსებდნენ ახალ წლის შესახვედრად.

— არ ვიცი, არის თუ არა დოქში წყალი, — ეკითხებოდა თამარი შვილებს.

რაც მისი შვილი პეტრე წავიდა ომში, თამარის სახეზე არავის უნახავს ღიმილი: ის მუდამ თავ-ჩაღუნული, მწუხარე დადიოდა.

— მიუდგით ცეცხლს ქვაბი; დაიკირეთ ნაცარა ქათამი.

— გოზინაყი?!

— ჯერ ქათამი მოხარშეთ, მერე გოზინაყი. ნიგოზი თაროზვა.

ოთახში შემოვიდა ნადედა; მხარზე ეკირა ცხელი შოთებით სავსე გძელი ხონჩა.

— დედა, მარინემ შეგეხვეწა, — ხვალისთვის მათხოვე ლამპაო, — წყნარად უთხრა მან დედას იმ დროს, როცა ის პურებს ალაგებდა ლურჯ სუფრა-გადაშლილ ტახტზე. — ეთერას ნიშნობა აქვთ, ბევრ სტუმარს ელიან; ჩვენც დაგვპატიეს.

— ღმერთო ჩემო! — გაჯავრდა თამარი: — ეს ლამპა რომ არ გამოვეზავნა პეტრეს, როგორ გამართავდა მარინე ნიშნობას? რათა, ვისი გულისთვის ბედნიერ დღეს ჩემმა ლამპამ უნდა გაანათოს სხვისი სახლი. არა, გენაცვა, არ შემძლიან. სხვა რა უხარია ჩემ გულს ამ სახლში? რო შევცქერი ხოლმე ამ ლამპას, ასე მგონია, რომ ჩემი პეტრე აქა ზის და იმისაგან მოდის შუქიცა და სიყვარულიც. მინამ მე პირში სული მიდგია, ეს ლამპა ამ ჰერ ქვეშ უნდა იყოს; ესე გადაეცი, შეილო, მარინეს.

მთის პაწია ბუდიდან ფრინველებსავით გაფრინდნენ შორს დედის ფიქრები, — იქ, სადაც ბრძოლის ველზე იტანჯებოდა მისი საყვარელი, ძვირფასი პეტრე.

სამნივე ჩუმად აკეთებდნენ თავის საქმეს.

მარინეს არავინ არა ჰყავდა ომში, და როგორც ადამიანს, რომელიც ვერა გრძნობს სხვის დარდს, სხვის უბედურებას, მარტო თავისი სიხარული ახსოვდა, ის-კი არ იცოდა — რა ძვირფასი ავეჯი იყო ეს ლამპა თამარასთვის.

ორი თვის წინად პეტრემ გამოუგზავნა ეს ლამპა დედამას ვარშაიდან.

— ვიცი, თქვენ შეშა არ გეკნებათ, ამ ყამად მე ფული მაქვს, — იწერებოდა პეტრე: — თქვენთვის ვიყიდე ეს ლამპა; ძლიერ გაათბობს სახლს, შუქიც კარგი აქვს. აგრეთვე გიგზავნით ზო მანეთს; იყიდეთ ხარი; ღვინიაც ხომ შემოდგომას იმუშავენს, და გეყოლებათ უღელი ხარი. ძვირფასო დედაჯან, ილოცე ჩემ უფროსისთვის, შეგვედრე წმ. გიორგის არჩილი, რომელიც ჩვენ ჯარის კაცებისთვის მამასავითაა. გავედით ბრძოლის ველზე; იყო ბნელი ღამე; მოხდა საშინელი საქმე:



იგრილა ტყვიის წვიმამ. როცა გათავდა ეს უბედურება, უკან დაიწია პეტრმა. ვნახეთ, რომ ჩვენი არჩილი არსად არა ჩანს, დავიწყე ძებნა. ავანთე ფარანი და ძლივს ვიპოვე; მოკლულ ცხენის ქვეშ საცოდავად ეგდო ხის ძირში დაქრილი, უღონო. უშველვე, ავიყვანე ჩემ ცხენზე და ბრძოლის ველიდან გაეაქანე ექიმებისკენ.

ორი კვირის შემდეგ,—ჩვენი რაზმი ისვენებდა,—წავედი რიგაში არჩილის სანახავად. ლაზარეთში იწვა. ძალიან ესიამოვნა ჩემი ნახვა, გადამხეხვია, მაკოცა და ათი თუმანი მაჩუქა:—შენ რო არ ყოფილიყავი,—სისხლისაგან დავიცლებოდიო.—მე ჩემი ადამიანური ვალი შეტევსრულე, სხვა არაფერი, მაგრამ მადლობელი ვარ, რომ არჩილმა ეს დაათასა.

ამ სიტყვებით ათავებდა თავის წერილს პეტრე, რომელიც ბრძოლის ველზედაც თავის დედ-მამისათვის ზრუნავდა.

—ნეტა კოცხალი თუა პეტრე?—სწუხდა თამარი.—როცა დაიწყეს გერმანელებთან ჩხუბი,—მალე გათავდებოა, ამბობდნენ, მაგრამ არ უჩანს ბოლო გაშმაგებულ ბრძოლას, არ ისმის ზავის ხმა.

ღრმად ამოიოხრა თამარომ და დაიწყო ფუსფუსი ბუხართან.

დაიჭრიალა გამურულმა კარებმა; შემოვიდა მაღალი, თვალკრელი ოსი საშსონა; გაიხადა ტყაბუკი, დაყარა იქვე თხილამურები, დაღონებული შივიდა ბუხართან და ჩამოჯდა ჯირკვზე.

—კაცო! რათა ხარ ეგრე: ხომ არაფერი გაგიგია?!—ჰკითხა თამარომ და რაღაც შევ-ზნელი გრძნობა მოაწვა გულზე.

—რა უნდა გამეგო?—წაიბურტყუნა საშსონამ და უფრო ახლო მიუჯდა ბუხარს.—სტრატეიკი ვასილი ვნახე, და იმან მითხრა,—გათავება-კი არა, ახლა იწყობა ომიო. აი, რამ დამაღონა!

—მაშ ასეა...—თამაროს ხმა აუკან კალდა.—აღარ მეღირსება პეტრეს ნახვა? ოპ, გამჩენო, მიიბარე ჩემი სული, მინამ რამე უბედურებას მოვესწრებოდე.

თამარმა ცრემლები ჩამოყარა.

— რა არის, დედა?— ხმა-დაბლა უთხრა ნადეჟდამ:— ნუ სტირი ამ ახალ წლის ღამეს, — არ არის ვარგი. მარტო შენ ხომ არ იტანჯები! მილიონი ხალხი შენ დღეშია. თუ მოხდა უბედურება, როგორმე უნდა მოვიწვლოთ. ვილოცოთ, რომ პეტრე მალე მოვიდეს.

წყნარად და დალაგებით ლაპარაკობდა ქალი, მაგრამ იმსაც გული უკვნესოდა...

ანუხსას უნდოდა როგორმე დაემშვიდებინა დედა; ალერსით შეხედა და უთხრა:

— ხვალ კაი ნიშნობა აქვს მიტროს: შრავალი სტუმარი მიუვა.

მაგრამ ახალგაზდა ქალს ისეთი დაღონებული სახე ჰქონდა, თითქო დასაფლავებას ესწრებოდა.

— საშინელი ქურდობაა ჩვენ ხეობაში, — თითქო თავისი აზრების საპასუხოდ სთქვა სამსონამ. უხაროდა, რომ არავინ აღარ ლაპარაკობს ომზე, რომელიც იარებს უღვივებდა გულში. — საქათმეებში არ დაარჩინეს ფრინველი. მიტრომ შემომჩივლა: ბატიურში გავივლი ქათმების საყიდლადა.

— საწყალი!

— აბა რა, ქალაქში ჩაიტანდნენ აქაურ ფრინველსა. იციან, რომ ახლა ყველაფერი დაძვირდა იქა.

ასე მუსაიფობდნენ სამსონა და მისი სახლობა. უცებ შემოესმათ ჯერ ძაღლების ყეფა, მერე ცხენის ფეხის ხმა.

— ნეტა ვინ იქნება ამ დროს? ცივა და თოვლიც მოდის, — გაუყვირდა სამსონს. ზღაზვნით წამოდგა, დაიხურა ბოხობი, ჩაიცვა ტყაპუჭი, აანთო კვარი, აიღო ჯოხი და გააღო კარები.

მალე შემოისმა მხიარული ხმები.

შემდეგ დაბრუნდა სამსონი და შემოჰყვა ახალგაზდა ებრაელი; ძველ დაგლეჯილ პალტოში გახვეული. თავზე ძველი რუსული ქუდი ეხურა.



— ოჰ, გამარჯობა, იოსებ!—გაიხარეს ქალებმა.

— მშვიდობა ამ სახლს; გაგიმარჯოთ!

— პეტრეს წერილია განა?

— მა!

გაიღიმა იოსებამ და გამოაჩინა ვეება თეთრი კბილები.

— მე არ მოგიკვდეთ, ცხენი ვიჭირავე: დროზე ჩავაბარო წერილი, დედ-მამის გული გავახარო მეთქი; შვილებს გეფიცებით.

— გმადლობ, ჩემო იოსება; რითაც შემძლიან—გადავიხდი შენ ვალს,—ეუბნებოდა თამარი ძვირფას სტუმარს.

მიყრუებულ სადგურში მოდოდა მრავალი წერილი ჯარის კაცებისაგან. იოსება ასრულებდა ფოსტალიონის საქმეს. ზამთარ-ზაფხულ მთელი დღე დადიოდა სოფლებში, დაჰქონდა წერილები, ჰკრეფავდა ლობიოს, კვერცხს, ფულს და ამით ინახავდა თავის ცოლ-შვილს.

იმ კვირებში იყო მთიულეებთან იოსება, ნახა თამარი; რადგან არ ჰქონდა წერილი, ვერაფრით გაახარა, მაგრამ კარგად დაახსოვდა დაღონებული დედის თვალები; ამიტომაც, როგორც-კი მიიღო წერილი სამსონას სახელზე, იჭირავა ცხენი და წავიდა მთაში.

ნადეედას სიხარულით აუკანკალდა გული; საჩქაროდ გადახია კონვერტი, გადაშალა წერილი და შეკრთა...

წერილი რუსულ ენაზე იყო.

— რა ვქნაა, შვილო, რაღას გაჩუმიდი?—შესძახა დედამ:— რას იწერება პეტრე?

— როგორ წავიკითხო... როცა ქართულად არ არის დაწერილი, —ძლივს სთქვა ნადეედამ.— რა ვიცი, იმისი კია ეს წერილი.

— იმისია, იმისი!—დაარწმუნა იოსებამ.— როგორც-კი მიიღეს ფოსტა, სადგურის მსახურმა დამიძახა და მითხრა, — სამსონას სახელზე წერილიაო.



— რად იწერება რუსულად?— გაუკვირდა ანუსას:— განა არ იცის, რომ ჩვენ რუსული არ ვიცით?

— ან სად ისწავლა ესე მალე რუსული?

— აბა რა ვქნათ?— ამოიოხრა დედამ.— ვინ იცის, იქნება ლაზარეთშია, იქნება დასქრეს და ვინმე ამხანაგი, ან მომვლელი ქალი იწერება...

— სუყველა შეიძლება, — უთხრა იოსებამ, რომელიც ჩაფიქრებული იჯდა ბუხართან.

სამსონმა გულსაკლავად ამოიოხრა და არაფერი არ უთხრა ცოლს. თითონაც გული აეცხო სევდით, და როგორ უნდა ენუგეშებინა?

— ნეტავი ღვდლისთვის გვეჩვენებინა: იმან რუსული იცის, — წაუჭურჩულა ანუსამ ნადეცდას.

იოსებამ გაიგო და უპასუხა:

— ღვდელი გზაში შემხვდა: შორ სოფელში მიდიოდა, ვილაც მძიმე ავადმყოფი უნდა ვაზიაროო. ხვალამდის ღვდელი არ იქნება შინა.

ამ დროს შემოისმა ცხენის ფეხისა და ვილასიც ხმა.

— ვინა ხარ შინ, გამოდით!

— ბატონ ირაკლის ხმაა, — გაუხარდა თამარს. სამსონი მარდად ადგა და გააღო კარები.

ეტყობოდა, რომ ირაკლი და მისი კაცი იორდანე არ იყვნენ აქ იშვიათი სტუმრები: ძაღლები ორივეს ელაჭუსებოდნენ. სამსონამ ჩამოართვა ცხენები, დააბინავა; ბატონი და მსახური მიიწვია ოთახში.

— უკაცრავად, ბატონო! — საღამის შემდეგ მოახსენა თამარმა. — ჩემი შვილის წერილი მივიღეთ; რუსულად დაუწერია, ვერ წაიკითხეს ქალებმა.

ირაკლიმ გაითბო ხელები, ამოიღო უბიდან სათვალე და გადაშალა წერილი.

რა დაღალული, რა მოქანცული მოვიდა ამ ოჯახში მოხუცი თავადი! როგორ ფიქრობდა დასვენებას სამსონას



სახლში! აბა როგორ უნდა ველო ამ ცივ, თოვლიან ღამეში: იმისი სახლი აქედან 10—15 ვერსზე იყო. რაღა ახლა მიიღეს ეს საცოდავი წერილი.

უთხრას დედ-მამას მართალი,—სულ ერთია, გინდ დანით უელი გამოსკრას; მოატყუოს—ესეც არ შეიძლება.

ჩაფიქრებული კაცი იტანჯებოდა.

— ბატონო!—ველარ მოითმინა სამსონამ.—ასე მოკლედ სწერია, და ამდენ ხანს კითხულობთ? ვინა გვწერს?

— როდისმე თითონაც მოგწერთ.. უპასუხა სამსონას ირაკლიმ და დაუმატა:—წამიყვანე თავლაში; ჩემი ცხენი კოკლობდა და უნდა ვნახო.

თამარის გულმა იგრძნო... იდგა გაქვავებული, ჰყრიდა ცხარე ცრემლებს.

— თამარო!— მიუბრუნდა ირაკლი:— რად ტირი, რა მოგივიდა? მე იმისთანა არაფერი წამიკითხავს...

— ჩემმა გულმა ყველაფერი წაიკითხა... აღარა მყავს ჩემი პეტრე, გაქრა ჩვენი შუე...

როცა თავლაში ხმა-დაბლა თქვა ირაკლიმ,—რაზმის უფროსი იწერება, რომ 19 გიორგობისთვის დაიღუპა ბრძოლის ველზე შენი შვილი პეტრეო,—სამსონამ ამოიკვნესა და გავიდა კარში.

გამწარებული შევიდა იგი საბძელში. აქ სიჩუმეში ქვით-ქვითებდა უბედური მამა.

კორიანტელი ამოვარდა, გაშალა მრავალი თეთრი ფრთა და დაიგრიალა საბძელთან, თითქო ბანს აძლევდა ქირისუფალს...

ამ დროს სტუმრებმა საჩქაროდ შეკაზმეს ცხენები და გამოიყვანეს თავლიდან; ირაკლიმ ხელი ჩამოართვა ქალებს და უთხრა:

— გაუფრთხილდით დედას. რას ვიზამთ? დიდი უბედურება დატრიალდა ქვეყანაზე; არ ვიცი, ვის რა მოეღოს. ამ საშინელ დროში უფრო უნდა ვეცადოთ, რომ ოჯახებში



ერთმანეთში იყოს სიყვარული და სიმშვიდე. არ წავიდა მამა-თქვენი. ჩემ მაგიერად უთბრას ტყის ყარაულს რომ უფასოდ გამოატანინოს ორი ურემი შეშა. მშვიდობით!

ფრთხილად დაეშენენ თავდაღმართზე.

— ავაზაკებსავეთ დავბოცეთ საწყალი სახლობა და წამოვედით, — სთქვა ირაკლიმ. — რა ვქნა, იქ დარჩენას მაინც ამსუსხიან დარში მგზავრობა ვარჩიე. გული მიღონდებოდა: ვერ უსტკერდი იმათ ტანჯვას. რო ვხედავდი იმათ ცრემლს, ისე ვხდებოდი, თითქო გულზე ვილაცა აღუღებულ წყალს მასხამდა არ შემეძლო იქ დარჩენა.

— ნეტა ფეხი მომტეხოდა და იქ არ წავსულიყავი, — დღონებული ხმით სთქვა იოსებამ. — უკაცრავად თქვენთან, ბატონო, ჩემ გამჩენს გეფიცვებით, ამ სიცივეში ამოვედი სამსონასთან, ნაავადმყოფიც ვახლავარ. სამი დღეა, რაც ლოგინიდან ავდექი. ჩემ თავს ვეუბნებოდი, ჩქარა წაიღე წერილი, გაახარე მშობლის გული მეთქი, და მერე რა უბედურება მიუტანე.

— შენი რა ბრალია? შენ კეთილი გინდოდა.

— რო გავიგე, წერილი ჯარიდან მოვიდა, — მე თვითონ, ბატონო, წერა, კითხვა არ ვიცი, — ვიფიქრე, — პეტრესი იქნება მეთქი, და გავიხარე.

ირაკლიმ ამოიოხრა და უპასუხა იოსებას:

— რაც ომი დაიწყო, ძილი დაეკარგე. მართალია, შვილი არა მყავს ბრძოლის ველზე, მაგრამ ვინც იქ იტანჯებოდა, სულ ჩვენი შვილები არ არიან? ოსმალო, გერმანელი, როგორც ჩვენი ქართველი და რუსი, დედამ არა შობა? რამდენი დედები არიან ამ წუთს თამარის დღეში! ქათამს რო შევეჩვევით — მერე გვენანება, ვერა ვკლავთ; იქ კი ადამიანის სისხლის ზღვა გააჩინეს.



ქართული  
ენების  
მეცნიერება

ნაეთი თავდებოდა. დაიხრიალა ლამპამ და გაქრა. სიბნელეში ოდნავ ჩანდა წითელი ნაკვერჩხლები და კერა, რომლის ახლოს იჯდა თეთრი კატა, იჯდა უზრუნველად და კრუტუნებდა გაუთავებელ ზღაპარს.

ჩამოვარდა დამწვარი ღერი და ნაპერწკლები გაჰფანტა აქეთ-იქით. უეცრად ბუხარში იფეთქა ალმა და გაანათა კუნკულებში საცოდავი დედა და დები პეტრესი. ისინი უძრავად, გაქვავებულებსავით ისხდნენ.

დიდმა მწუხარებამ გააშრო იმათ სახეზე ცრემლი.

ბანში ღმუოდა ქარი... თითქოს ანდერძს უგებდა კობტა, კეთილ ახალგაზდა კაცს, რომლის დაკარგვამ ასე უცებ გააქრო მშ საბრალო ოჯახში სიხარული და სიცოცხლის ხალისი.

დ. ვედრებისელი.





# ბეჯანისა და მანიუარის არაკი

(სამეგრელოში ჩაწერილი  
იოსებ ყიფშიძის მიერ).



გნ. 134

ყო ერთი ხელმწიფე; ჰყავდა  
სამი ტარიელი: გივი, როს-  
ტომი და გურგენი. გივს ჰყავ-  
და შვილი ბეჯანი, რომელიც  
თერთმეტი წლისა იყო. ეს  
ტარიელები ისეთი ძლიერი  
იყვნენ, რომ სხვა სახელმწი-  
ფოებთან ჩხუბში ყოველთ-  
ვის იმარჯვებდნენ. ამ ხელ-  
მწიფეს ერთი სარკე ჰქონ-  
და. ყოველ აღდგომას შევი-  
დოდა ოთახში და სარკეში

ჩაიხედავდა. რაც იმ წელიწადს უნდა მომხდარიყო, ყველა-

ფერს იქ დაინახავდა. ერთხელ სამივე ტარიელი წავიდა. მაშინ ბეჟანმაც წასვლა მოინდომა.



— ცოტა ხანს ვერ წაგიყვანთო, — უთხრეს, მისთვის რო პატარა იყო. მაგრამ ბეჟანმა არ დაუჯერათ და წაიყვანეს.

ამ აბრაგობის დროს ბეჟანმა ყველაზე მეტი გააკეთა. სახლში რო მოვიდნენ, იმ დროს მოვარდა ერთი თავმოგლეჯილი კაცი და თქვა: „დავილუპეთ, აწი ჩვენი ყოფა არაფრად არა ღირს. საიდანღაც გარეული ლორები მოვიდნენ და ჩვენი მამული ამოავდეს ისე, რომ მის ღლეში არაფერი ეშველებო“.

გურგენს უთხრეს: „წადი და ის ლორები გაწყვიტო“. მაგრამ ბეჟანმა თქვა: „არა, მე გამიშვით, ოღონდ თქვენ ლახტზე თორმეტი ფუთით მეტი რომ იყოს, ისეთი გამიკედეთო“.

მისცეს ნება. ჩააცვეს ჯაჭვი. ბავში წავიდა და გურგენი გაჰყვა. დაინახეს ლორები. ბავში შიგ გაერიო. ერთხანს ლორებმა ვერ შენიშნეს, მაგრამ ზევით რო აიხედეს, ნახეს,

ბავში მათ შუა სდგას. ერთმა ლორმა ეშვი ამოუქნია და ჯაქვის ტანისაპოსი გაუხია. ამ დროს ბავშვს გული მოუვიდა და



ყველა ერთად დახოცა. ყველას ეშვები დააძრო, დააწყო; თორმეტი საყენი გამოვიდა. ახლა ჰკითხა გურგენს:

— ჩემისთანა ბავში არის კიდევ სადმეო?

— შენისთანა ბავში არსად არ არას, მარა...

— „მარას“ რო ამბობ, ეს რა არისო?

— რა არისო, და ამა და ამ აღგილას არის ერთი ქურბანის\*) ხელმწიფე, მას ჰყავს ქალი, სახელად მანიყარი, და ცოლად ის შეგხვედრიაო.


ეს რო გაიგონა ბეჟანმა, გადავარდა და წავიდა. გურგენი დაბრუნდა და სახლში მოვიდა. ბეჟანის ჯავრით ტყუილი

\*) ირანი, სპარსეთი.



სთქვა, ვითომც ის ღორს დაეგლიჯოს. ძალიან შეწუხდნენ და ბერიც იტირეს, მაგრამ რა უნდა ექნათ?

ბეთანი მივიდა ქურანს. მონახა ხელმწიფის სასახლე და ეზოში შევიდა. ქალმა გაიხედა და დაინახა, რო ბავში მიდის. კაცი გაუგზავნა და თავის ბინაში შეიყვანა. ბავშმა თავის შეილდ-ისარი იქ დასდვა. მეფემ რო ეს ამბავი გაიგო, მოუწოდა ბეთანს თავისთან, მაგრამ ბავში არ წავიდა. ხელმწიფის თავი კაცები მივიდნენ და თხოვეს წასულიყო მეფესთან. ბავშმა იარაღიანად დააპირა წასვლა, მაგრამ უთხრეს: „ხელმწიფესთან იარაღიანად არ მიისვლებათ“. დაუჯერა და



წავიდა უიარალოდ, მაგრამ, მივიდა თუ არა, დაიკირეს და ჩანგალზე წამოგება გადაუწყვიტეს. ამ დროს ერთი უფროსი ვეზირი არ იყო. ბავში რო მოსაკლავედ მიჰყავდათ, იმ დროს მოუსწრო და დაიწყო ყვირილი: „ეს მოსაკლავეი არ არისო“, და გააშვებინა. მაგრამ მაინც არ დაუჯერეს და სამოცი ალაბის სიმაღლე გათხრილ მიწას ჩასვეს. ზემოდან გადააქედეს ისეთი რკინა, რო სამი უღელი კამეჩი ვერ ზიდავდა. თავში პატარა სარკმელი დაუტოვეს საკმლის ჩასაწვდენად.

ხელმწიფის ქალი მსახურად დაუყენეს. ეს ქალი არჩენდებოდა მანს ნათხოვარი საკმლით.

ამ დროს მოატანა აღდგომამ. ხელმწიფემ რო სარკეში ჩაიხედა, აკი დაინახა, რო ბეთანი თხრილში ზის. დაუძახა გივს: „გახარებ, შენი ბავში ცოცხალი ყოფილაო“, და თვალით დაინახვა. გაეხარდა გივს და თქვა: „აწი არაფერიო“.

გამოეწყვნენ გივი, როსტომი და გურგენი. წაიყვანეს სხვებიც, წაიღეს თორმეტი ჯორის ტვირთი საკმელ-სასმელი, იარაღი და წავიდნენ. მივიდნენ ქურანის ხელმწიფის სასახლეს: „ვაჭრები ვართ და შეგვიშვითო“. მოახსენეს ხელმწიფეს. შეუშვეს. როდესაც შევიდნენ, ქალს დაუწყეს საკმელების ძლევა ბეთანისათვის. ბეთანს გაუკვირდა და ჰკითხა:

— ვინ მოგცა ასეთი საკმელები?

— ასეთი და ასეთი კაცები მოვიდნენო, — უთხრა ქალმა.

ბავში მიხვდა, ვინ იყვნენ ისენი, და თქვა: „აწი არაფერიო“.

როდესაც ბავშს ძალა მიეცა, სამივე ტარიელმა თხრილის დასაფარებელი გადაადგდეს. ბავშმა ისკუპა და ზვეით ამოხტა. მოჰკიდა ხელი ქალს, თავის მამას ჩააბარა და თითონ გაიქცა თავის შვილდ-ისარისაკენ. ისენი ისევ იქვე ეწყვნენ. იმ სიმძიმე ყოფილან, რო კაცს ვერ აეწია. იტაცა შვილდ-ისარი და დაერია ხელმწიფესა და მის ჯარს. ყველა ერთად დახოცა; დატოვა მხოლოდ ის ვეზირი, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა, და სახელმწიფო ამ ვეზირს აჩუქა. თითონ და მისმა ტარიელებმა ქალი წამოიყვანეს და თავის სახლში მოვიდნენ. იყო მზიარულება, წვეულება და ლხინი.

როდესაც დაწყნარდნენ, გურგენს მოთხოვა ბეთანმა პასუხი: „შენ ტყუილი რისთვის სთქვი ჩემ შესახებ, ლორმა დაგლიჯაო“?

შუაქაცებმა ჩხუბი დაუშალეს, მარა ბეტანმა ითხოვა:  
 „სამი ვაშლი მომეცით და იმას მიინც ვესვრიო“. მისცეს



ვაშლები. გურგენი შორს დააყენეს. მოუქნია და ესროლა  
 ბეტანმა ვაშლი. მოხვდა გურგენს გულში და მეორე მხარეს  
 გამოვიდა. მოკვდა გურგენი; აიღეს და დაასაფლავეს: „ეს ბე-  
 დი გქონია, თორემ ვაშლმა როგორ მოგკლაო,“ — დაატანეს  
 თან.

წუხელი იქ ვიყავი, და დღეს აქ მოველი.





## შობის სურათი სოფლად

**ა**მე არის, სძინავს მიწას, სუნთქვა ნისლად აუორთქლავს,  
 თოვლი მთა-ბარს საბანს ხურავს, ხეებს, ბუჩქებს, თეთრად ფოთლავს.  
 სიჩუმეა... სთოვს, სთოვს, ბარდნის და სიჩუმე ორკეცდება,  
 ხანდისხან კი ნორჩი ტოტი თოვლს ვერ უძლებს, ჩამოტყდება;  
 ანდა ხიდან თოვლის ქულა ძირს გუგუნით ჩაირღვევა,  
 და დუმილი მხოლოდ წუთით, მხოლოდ წუთით დაირღვევა...

სიჩუმეა!.. სოფელს კოტი დაქვეითინებს გულ-მომწყვლელად,  
 საზარი ხმა სქელ ბურუსში იფანტება მინდორ-ველად;  
 სდუმს სოფელი, — და დუმილი მას უხუთავს გულის ძგერას,  
 ხვალ შობაა, მაგრამ შობა არ ახარებს ჩაგრულთ კერას...

ხვალ შობაა, მაგრამ შობა დღეს არავის აგონდება:  
 დაობლებულ ქოხებიდან გამოისმის ყრუ გოდება.




აგერ ქოხში სწეულ დედას მოხვევია შვილი ყელზე  
და რაღაცას ჩასჩურჩულებს მამისა და ბრძოლის ველზე;

იქ მოხუცი მიმქრალ ცეცხლთან ზის და ფიქრობს ძილ-გამკრთალი,  
მძიმედ ოხრავს და ევსება მწარე ცრემლით ბედკრულს თვალი.  
ბნელ კუთხეში ვიღაც ბოდავს, შვილს ეძახის, პირმშოს უხმობს,  
ძილშიც არ აქვს მოსვენება, ვარამი გულს უქკნობს, უხმობს...  
ხეალ შობაა... ღმერთო ჩემო! არც აღიღო, არც მზადება...  
დაობლებულ ქოხებიდან გამოისმის ყრუ გოდება.

ი. ხიხარულიძე





## მრისხანე ყეენი



(ლეგენდა).

ნდოდა მთელი ქვეყნის ბრძანებლად გამხდარიყო, და თითქოს განგებაც ხელს უწყობდა. მესამედი მაშინდელი ქვეყნისა თითქმის შეიერთა კიდეც.

ესეთი იყო ჩინგიზ-ყეენი, რომელსაც ბავშობიდანვე ჰქონდა ჩაწვეთებული რაღაც ზეციერ უხილავ არსებისაგან მისი ძლიერება ამ ქვეყნად, ვითომ მასზე ძლიერი არეინ ყოფილიყოს დედამიწაზე და მხოლოდ ამაყ ჩინგიზს შეეძლოს დაპყრობა მთელი ქვეყნისა...

ამ ფიქრით გატაცებული ბოროტი ყეენი ყველას ერიდებოდა და არავის არ სცემდა ხმას, გარდა მოხუცი ვეზირისა, რომელმაც ერთმა იცოდა ყეენის საიდუმლოება: მხოლოდ მისთვის იყო გახსნილი ბნელით მოცული გული მპყრობელისა და მხოლოდ მას შეეძლო დამშვიდება განრისხებული ჩინგიზისა...



...მრისხანე ყვენიც გრძნობდა ამას და უიმისოდ უფეროდ არ გადადგამდა. მაგრამ ყვენი ომის საქმეში არაფერს არ უჯერებდა ვეზირს და ისეც მის ასალაგმავად და მოსათვინიერებლად მხოლოდ იმას თუ ახერხებდა, რომ დრო-გამოშვებით მოაგონებდა ხოლმე ყვენს: — შენზე დიდნიც არიან ქვეყნად, ბევრად შენზე ძლიერნი და მოურიდებელნი; მაგრამ ყვენი ამ სიტყვებზე უფრო ცეცხლდებოდა და თავისზე უძლიერესის ძებნაში განაგრძობდა სისხლის ღვრას... ყოველივე ამის მიზეზი, როგორც ყოველივე სხვა ცუდი საქმისა, იყო თინი, და თინის მონა ყვენის შიშით კი ძრწოდა მთელი აღმოსავლეთი. ბევრნი ქვეყნის მეფენი დადიოდნენ უყუროდ: მოკრილი ყურებით სავსე ჰქონდა ჩინგიზს ოქროთი მოქარგული ტომრები.

...ჯარსაც-კი მოსწყენოდა ამდენი ომები და ერთთავად ელოდა, როდის დაკმაყოფილდებოდა მისი მბრძანებელი სისხლის ღვრით... მაგრამ მისი მმართველი ჯერ არა ფიქრობდა დასვენებას: უნდოდა შეჰხვედროდა თავისზე დიდს, ან თუნდა თავის ისეთს სწორს, რომელიც არ დაემორჩილებოდა და ან თვალეებში შეჰხედავდა მაინც წარბ-შეუხრებლად.

...ყვენის თვალეები-კი მუდამ აფრქვევდნენ მრისხანების ცეცხლს და ლაწენი ანთებული ჰქონდა კოკონად... სადღაც სიღრმეში დაკარგულ გველისებრ თვალეებში აღმოიკითხებოდა სისხლის დაუშრეტელი წყურვილი.

...სულ სხვა იყო მოხუცი ვეზირი: თუ ყვენის გამოსვლაზე ხალხი კლდე-ღრეს ეფარებოდა, სამაგიეროდ ყოველი სიტყვა ვეზირისა მალამოდ ეცხებოდა მრავალ-ტანჯულ ხალხის დაწყლულებულ გულს.

..ჩინგიზი იპყრობდა ქვეყნებს, ზოცავდა უმანკოთ და სტკებობდა თავის ძლიერებით...

...შესწუხდა ხალხი და მიმართა ისევე ვეზირს:

— მოხუცო, გვიშველე რამ, მოსძებნე ვინმე, ვინც წინააღმდეგა მახვილს ყეენისას და არ მოერიდება იმის შემზარავ თვალებს...

დაფიქრდა მოხუცი ვეზირი და მოიწვია აღმოსავლეთის სამი ბრძენი ბჭობად ამ საქმისა. ბრძენნი თავისი საყვარელი ვეზირის მოწოდებაზე მოვიდნენ და ყოველი მათგანი შეეცადა წინააღმდეგობადა მეთვის ეინს.

...ერთმა ყეენს ლახვარი მიართვა:—ეს უსულო ავაზაკი გახლავს შენზე ძლიერი და მარტო ამას შეუძლია შენი დაძლევაო!..

მაგრამ გააფთრებულ ყეენისგან თავისივე იარაღით იქმნა დალახვრული.

ბრძენთ დაენანათ ამხანაგი, მაგრამ სრულიად არ დაუკარგავთ იმედი და შემდეგ კვირას დამშვიდებულ ჩინგიზს მეორე ბრძენმა მიწა მიართვა:

— ზეციერო, ჩვენ ყოველნი მიწის შეილნი ვართ და ბოლოს მიწასვე ვბარდებით, მიწად ქცეულნი. მხოლოდ მიწაა თქვენზე ძლიერი, მხოლოდ მიწას შეუძლია მოგილოსთ ბოლო...

— ნუ თუ ჰფიქრობ, უბედურო, რომ მიწა გამიწევს წინააღმდეგობას? მთელ დედამიწას გადავაბრუნებ!.—არ დაასრულებინა სიტყვა და საბრალო ბრძენს შეტი სასჯელი დაატება თავს... ცოცხლად დამარხა!...

...შეშინდა მესამე ბრძენი და თავგასულ ყეენს კინალამ თავი დაანება, მაგრამ შერცხვა და ამანაც ბედი სცადა. დიდ-





ხანს იფიქრა, მწუხარებისაგან ლანდს დაემზგავსა და ბროლის გადაქრით გადასწყვიტა ხალხისათვის თავის დადება. გამოიწვია დასავლეთით მთელ დედამიწის ზურგზე სილამაზით განთქმული, მზეთ-უნახავი ქალწული და უნდოდა ეს მშვენიერება მეფისათვის ეჩვენებინა... ბრძენს ეგონა, ქალის მომხიბლავი, მაყვალავით შავი თვალები, უმთვარო ღამესავით შავი თმის ქავლნი და ბუღბუღის ტყვე ვარდსავით ალის ფერი ღაწენი, ზღვის მარჯნის ფერი ბაგენი და სარო ტანის დამშვენებელი ბროლივით ნათელი მკერდი მოსდრეკდა თავის წინაშე მტარვალ მპყრობელს—მაგრამ...

...როცა ბრძენმა მიჰმართა ყეენს:—რომელი მამაკაცი აღმართავს ამ სიმშვენიერეზე მახვილსაო?

ჩინგიზმა თავი დაჰხარა და ბრახ-მორეულმა წაილაპარაკა:

—ეგ არის ჩემზე ძლიერი?! ვერვინ აღმართავს მაგაზე მახვილს? აი, თუ ვერა!... დაიღრიალა მრისხანე ყეენმა და თავის აღმასებრ ბასრი მახვილით შუა გაუპო ბროლის მკერდი. მოკვდა ქალი და მოკვდა იმედიც ბრძენისა...

...ხალხი-კი კვლავ ჰგმინავდა ძინის მონა ყეენის კირთებ ქვეშ...

## II

გავიდა მას შემდეგ დღეები, თვეები და წელიწადებიც, მაგრამ ბოროტი ყეენი მაინც არ მშვიდდებოდა...

...ერთ მშვენიერ მზიანს დღეს მოხუცი ვეზირი თავის სამ შვილის შვილთან ერთად წამოწოლილიყო ადამის დროულ



ცაცხვის ქვეშ და უამბობდა მათ ზღაპარს ზღვის ქინკაზე, რომელიც ხალხს არ ერიდებოდა და თამამად ჰლუპავდა ოქროს-ჯუბოსან ვაქრების თვალ-მარგალიტით დატვირთულ გემ-ხომალდებს; უამბობდა, როგორ იძიებდნენ შურს უსაზღვრო და უძირო ზღვის მამაც ქინკებზე გრძნეულნი, კუზზე ზურ-მუხტ-ჩარდახოსანნი აქლემები, რომლებსაც ქინკებს ძალიან ეშინოდათ...

მშვენიერი იყო ზღაპარი, მაგრამ ყველას რამდენჯერმე ჰქონდა განაგონი და იმ ყურადღებით ველარ უსმენდნენ, როგორც ჩვეულებრივად უსმენენ ხოლმე ზღაპარს ბავშვები ბუხრის წინ ფეხ-მოკეცილ ბაბუას და მოზრდილები—სიმინდის რჩევის დროს, მორიგ მეზღაპრეს. მხოლოდ უფროსი უყურებდა ენა-წყლიან მოხუცს პირში და ცდილობდა არამც თუ გაეგონა, არამედ სიტყვა სიტყვით დაესწავლა ყველაფერი. შუათანა ერთ ხანს უსმენდა, მაგრამ მერე იგი გადაიყოლა ფოთოლზე ბჭყვრიალა ცვარმა.

— წავალ და მოვსწყვეტ ფოთოლს,—იფიქრა შუათანამ და ცვართან მიირბინა, მაგრამ მისი პატარა ტანი წინ აეფარა მადლიან მზის სხივს... და ბრჭყვიალა ცვარის მაგიერ წყლის უბრალო წვეთილა ჰპოვა. მობრუნდა გულნაკლული და ისევ თავის ადგილიდან სტკებოდა ცვარის ციმციმ-ბრჭყვიალითა...

სულ უმცროსიც ცოტა ხანს უგდებდა ყურს, მერე მოხუცის წინ დაიწყო თამაშობა ჩრდილში, შემდეგ ყველა ამას არჩია დიდ ეზოს მცველ, ლომის მზგავს ქოფაკთან თამაში და ამ აზრით მასთან დაუყოვნებლივ მიირბინა...



— მულა, მულა, ჩემო მულა, მოდი ვიხატო შენს მხრებზე  
 მაგრამ მურას მისთვის არა სცხელოდა: გაჯავრებული  
 იყო რალაცაზე და ბავშვს ხევწნა-მულარაზე ღრენა დაუ-  
 წყო...

ბავშვმა-კი გაუცინა და უფრო ახლოს მიიწია.

— მულა, მოდი ერთად ვიცინოთ, სულ ვიცინოთ,—  
 ძლივს ახერხებდა ბავშვი და თანაც კულისკენ ხელი გააპარა  
 გამოსაწეველ...

...მოხუცი ბაბუა-კი, რომელიც აქამდის შეუწყვეტლივ  
 განაგრძობდა თითქმის გაზეპირებულ ზღაპარს, უცბად ზეზე  
 წამოიჭრა და გაეშურა მღრინავ ძაღლისკენ და მომკინავ  
 შვილის-შვილისკენ...

მიირბინა, ძაღლს ფეხი ჰკრა, ბავშვი ხელთ აიყვანა და  
 ქანდაკებასავით გაშეშდა... დიდხანს იდგა უძრავად, შემდეგ  
 უცბად მოჰბრუნდა და გასწია; ხოლო ორ უფროს ბავშვს  
 კი უბრძანა სახლში წასულიყვნენ.

ვეზირმა ფეხი შესდგა სასახლის ეზოში, საიდანაც ათა-  
 სობით გამოჰქონდათ მსხვერპლნი მრისხანე ყეენის ეინისა...  
 აქ შედგა, სული ამოითქვა და შეალო პირველი კარები. გზა-  
 და-გზა სასახლის მსახურნი ემზობოდნენ მის წინაშე და ის-კი  
 ყურს არ უგდებდა არავის და სდუმდა, სანამ არ შევიდა თვით  
 ყეენის დარბაზში...

— ვპოვე, ზენაარო, შენზე ძლიერი და მოურიდებელი  
 აღამიანი, რომელიც არ შეუშინდება შენ თვალებს და რომელი  
 ზედაც ვერ აღმართავ შენს ძლიერ მახვილს.

...ჩინგიზი გაჰკვირდა, სახეზე უკმაყოფილების ხაზმა  
 დაჰკრა და მისმა გველისებრ თვალებმა ცეცხლის კვესა

დაიწყეს. მას ბავშვი არ შეუმჩნევია, რადგან მოხუცი ხშირად შედიოდა თავის უმცროს შვილის შვილით ხელში ყეენთან.

— ეპოვე, მაგრამ მხოლოდ მაშინ გეტყვი, ვინც არის, თუ მეფურ სიტყვას მომცემ, რომ აღასრულებ დანაპირებს და შესწყვეტ ხალხის უბრალო ელეთას.

— და თუ ვერა ვსცან ჩემზე ძლიერად, მაშინ თავს მოვკვეთ.

— იყავნ ნება შენი!..— მიუგო მოხუცმა.

— კარგი!..— დასთანხმდა ჩინგიზიცი... და მოხუცმა ბავშვი აჩვენა...

ყეენმა თავი დაჰხარა.

— აი, ეს არის შენზე ძლიერი, შენი უფროსი, და არაფერშიც არ მოგერიდება შენ; აი, ამაზე ვერ აღმართავ შენს ბასრს მახვილს და ეს შეგხედავს წარბ-შეუხრელად შემზარავ თვალბში!..

ყეენმა თავი ასწია, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ბავშვმა მოინდომა მასთან ახლოს მისვლა და ამით სიტყვა ტუჩზე შეაყინდა...

ბაბუამ დაუკმაყოფილა სურვილი ნორჩ არსებას და ბავშვი ყეენს გაუწოდა.

ბავშვმა ოღნავ გაიღიმა და წაეპოტინა, მრისხანე პატრონის შიშით თავ-დახრილ თხელ უღვაშებს და სიცილით მოსწია თავისკენ.


...ყეენის მოღრუბლულმა სახემ გამოიღარა, და პირველად თავის სიკაცხლეში გაღიმებულმა ამდენი მბრძანებლობის შემდეგ პირველად ითხოვა განთავისუფლება პატარა, მაგრამ ოურიდებელ მოცილეს ხელთაგან.

— დაგმარცხდი, — ჩაილაპარაკა განთავისუფლებულმა ყვე-  
 ნმა უკვე სიცილით, — ახლა-კი მივხვდი, რომ ბევრი ყოფილა  
 კიდევ ჩემზე ძლიერი ქვეყნად, რომელთაც სრულიად უსის-  
 ხლოთ შესძლებიათ მოპოვება მბრძანებლობისა...

...ეგ ბავშვი-კი იქნება მემკვიდრე ჩემი უმემკვიდრო  
 ტახტისა...

გ. ჭალატყელი.





# პატარა ტაცი



ოველთვის, როდესაც კი გამოვიდოდა ნუმერი. სასეირნოდ, ერთ პატარა ქობთან აუცილებლად ხვდებოდა ერთი პატარა ბიჭი და ღიმილით შესცქეროდა. ბიჭი რვა, ან ცხრა წლისა იქნებოდა. თეთრ სახეზე სრულიად ცისფერ თვალებს უმშვევნებდა ხუჭუჭა, ღია ფერის თმა. ნუმერი იყო მარტოხელა კაცი, უყვარდა ბავშვები; ამ ბიჭს სიამოვნებით ეგებებოდა.

— რა გქვია შენ? — ჰკითხა მან ერთხელ.

— ტაცი, — უპასუხა ბავშვმა.

— ვინ არიან შენი მშობლები?

— მე სულაც არა მყვანან მშობლები: ობოლი ვარ, ვცხოვრობ ბებიასთან.

— რით ცხოვრობთ, ან საზრდოობთ, რით ყიდულობთ პურს?

— ბებია აგროვებს სხვა-და-სხვა ბალახებს, იმისაგან აკეთებს წამლებს და რომის ბაზარზე ჰყიდის. იმის წამლები შევლიან ხალხსაცა და პირუტყვებსაც.

— საიდან იცით, რომ შევლიან?

— მე თითონ ვნახე: ერთხელ ავადმყოფი კაცი მოვიდა, ტკივილებიდან სულ ყვიროდა: მისცა რაღაც დასალევი. იმ კაცმა მაშინათვე დაიძინა, — აი აქ, ლობესთან, და იძინა მთელი ორი დღე გაუღვიძებლად. როდესაც გამოიღვიძა, სრუ-



ლიად განკურნებული იყო. მეორედ ჩვენთან მოვიყვანე ცოცხალი ფიანი კატა; ბებიამ იმასაც ასუნთქებინა რაღაც წამალი და იმანაც მაშინვე დაიძინა.

ნუმერის გაცინა.

— საყურადღებო ამბავია, — სთქვა მან.

— მიამბე კიდევ რამ... — მოჰკიდა ტაცის ხელი და წაიყვანა თან. გაიარეს საკმაო მანძილი და შევიდნენ რომში... მათ გვერდით ხმაურობით მირბოდნენ სხვა-და-სხვა ეტლები; მიდიოდნენ ჯარისკაცები, მიიჩქაროდნენ მგზავრები, ქვაფენილებზე მიაკაკუნებდნენ ფეხსაცმელებით. ნუმერი და ტაცი ქუჩიდან ქუჩაში გადადიოდნენ და მთელი ეს დრო ტაცი ტიკტიკებდა, გულუბრყვილოდ უამბობდა ნუმერის ბებიას წამლებზე. ნუმერი სიამოვნებით უსმენდა ტაცის ტიკტიკს. ბავშვის უეშმაკო, უმზაკვრო ელურტული უთბობდა გულს, თან ართობდა და უნდოდა სულ ეკჭირნა ტაცის ნდობით აღსაესე, ლომბიერ, ლურჯ თვალეში. კმაყოფილი იყო, რომ ასეთი პატარა მეგობარი აღმოუჩნდა. იმათ იხეტიალეს დიდ ხანს უზარმაზარ ქალაქში და ისევ გავიდნენ ქალაქ გარედ.

ბიკი წავიდა თავის ბებიასთან, ნუმერი კი გაემართა თავის სააგარაკო სახლში. ამ დღიდან ისინი ძლიერ დამეგობრდნენ და ყოველ დღე სეარნობდნენ ერთად. ნუმერი მეფის სასახლეში იყო. რომის იმპერატორის ტიბერის ამაღლაში ის პირველ კაცად ითვლებოდა; ძალიან მდიდარიც იყო; მარტოხელა აღამიანს ათობით ეხვია მოსამსახურეები. იმისი სააგარაკო სახლი მთელ რომში საუკეთესოდ ითვლებოდა.

მარტოხელობამ და სიმდიდრემ თავისუფლება შესძინეს. ის ირჩეოდა სხვებში პირდაპირობით, სიმართლის სიყვარულით. მკვახედ გამოსთქვამდა ხოლმე თავის მსჯავრს და გაბედულად ეუბნებოდა მართალს თვით იმპერატორს. სასახლეში განსაკუთრებული მდგომარეობა შექმნა: ზოგს ეშინოდა

მისი და ერთდებოდნენ, ზოგნი შურის თვალით შესცქეროდნენ და ცდილობდნენ ცილი რამ დაეწამათ და დაესმინათ იმპერატორთან. თვითონ ტიბერი, სისასტიკით ცნობილი, აფასებდა მას და ამავე დროს ეშინოდა კიდევ მისი.

— ასეთი ქვეიანი რომ არ იყოს, დიდი ხანია მივსცემდი ლომებს დასაგლეჯადაო, — ეტყოდა ზოლმე ტიბერი თავის მეგობრებს. ეს სიტყვები ხუმრობად ჩამოართვეს და ნუმერი-საც ხუმრობა ეგონა. მას დამოუკიდებლად ექირა თავი, ცხოვრობდა მარტოხელად და ყველას პირში სიმართლეს ეუბნებოდა. არავინ არ უყვარდა სასახლეში, დარდიანად იყო იქ და მხოლოდ იმიტომ დაჩა, რომ იმპერატორის სამსახური მოვალეობად მიაჩნდა. იმიტომაც დაუმეგობრდა ის ტაცი, შეიყვარა მისი ალერსი, ნდობა, უმზაკვლობა და დანდობილი დიმილი; იმასთან ნუმერი თავისუფლად გრძნობდა თავს.

— მშვენიერი ბიჭუნაა... უნდა ვიზრუნო მისთვის, — ამბობდა ის ხშირად თავის გულში. დღე დღეს მისდევდა. დილილაობით მოდიოდა ნუმერისთან ტაცი, დარბოდა მის ხეივნებში, უამბობდა სხვა-და-სხვა ამბებს; შემდეგ ორივენი მიდიოდნენ სასეირნოდ. როდესაც გაივლიდნენ რომში, გზად შემხვედრი პატრიციები\*) ყოველ მხრივ აკვირდებოდნენ პატარა ბიჭს და ამბობდნენ:

— უთუოდ ნუმერის უნდა იშვილოს... ნუმერი მარტოხელია და ალბად იმიტომ დადიან სულ ერთად.

ერთხელ ტაციმ მოიკრიბინა ნუმერისთან; საშინლად აღელვებული და საზე-შეცვლილი იყო. ჩაფითრებულს ტუჩები უთრთოდა და ძლივს იღვა ფეხზე.

— რა მოგივიდა, ტაცი, რამ შეგაშინა? — გაუკვირდა ნუმერის.

ტაცი ძლივს ახერხებდა ლაპარაკს.

\*) წარჩინებული პირნი ძველ რომში.





— ოჰ, ბატონო, ბატონო!—წამოიძახა ბოლოს და ბოლოს თაგან კრემლები წამოსქდა.—ამ საათში ჯარის კაცები მოვიდნენ ჩვენთან და ჩემი ბებია წაიყვანეს. იმათ მითხრეს, რომ ბებიას დასწვავენ ცეცხლზე.

— რა ამბავია, რას ამბობ, რად უნდა დასწვან?—განცვიფრდა ნუმერი.

— ბატონო! იმათ სთქვეს, რომ ჩემი ბებია გრძნეულია, აგროვებს ათასნაირ ბალახებს, ქაჯებთან კავშირი აქვს და იმათი დახმარებით აძინებს ხალხსა და პირუტყვთაც. ოჰ, ბატონო, როგორ უნდა ვიყო უბებოდ, როგორ უნდა ვიცხოვრო, რით ვსკამო პური?

ბიკის მწუხარება იმდენად მარტივი და უიმედო იყო, რომ ნუმერის შეეცოდა, მოჰკიდა ხელი და გაიყვანა ქუჩაში.

— წავიდეთ!—უთხრა მან.

ისინი მივიდნენ ტაცის ქოხში, მაგრამ ის უკვე დაბეჭდილი დახვდათ; გასწიეს უფროს მოსამართლესთან, ვისი განკარგულებითაც ტაცის ბებია დატუსაღებული იყო.

— დიალ, ბატონო, მე ის დედაბერი დავატუსაღე, თვით მათი იმპერატორებითი უმაღლესობის ბრძანებით. იმის ყურამდის მიაღწია ამბავმა, რომ ის დედაკაცი კუდიანია, გრძნეულია, აგროვებს ათასნაირ ბალახებს და აფუტებს ხალხს. ახლა იმას დასჯიან, ცეცხლზე დასწვავენ!—უთხრა მოხელემ.

— შენ ამბობ, რომ თვით იმპერატორის ბრძანებით დაატუსაღე?—ჰკითხა ნუმერიმ.

— ნამდვილად ასეა, ბატონო.

— ასე თუა, ჯერ ნუ გააგზავნი იმ ქალს სამსჯავროში,—ცოტა მოითმინე.



ნუმერიმ მარტო დასტოვა ტაცი თავის ბინაზე და თვითონ წავიდა იმპერატორ ტიბერისთან. ნუმერის დასტური ჰქონდა იმპერატორისგან და ყოველთვის შეეძლო დაუკითხავად შესულიყო მასთან. ამ უფლებით ისარგებლა, შევიდა და სთხოვა-დგდაბერისთვის სიკაცხლე ეჭუქები. უმტკიცებდა, რომ არავითარი გრძნეულება არ არის ქვეყნად, რომ არცერთ ადამიანს არ შეუძლია იქონიოს დამოკიდებულება ავსულებთან, რომელნიც არ არსებობენ, რომ ტაციის ბებია ამზადებდა მხოლოდ წამლებს და შეძლებისადაგვარად შევლოდა ხალხს და პირუტყვებს. მან დიდხანს მხურვალედ ილაპარაკა.

საქმე იმით დაბოლოვდა, რომ ერთი საათის შემდეგ დედაბერი თავის სახლში იყო და ისევ თავის ბელობას განაგრძობდა. ტაცი სიხარულისაგან აღარ იყო, აღტაცებული ეხვეოდა განთავისუფლებულ ბებიას, არ იცოდა-რით და როგორ გადაეხადნა მადლობა ნუმერიისათვის.

— მე არ დავრჩები ჩემი ბატონის მოვალე: გადაუხდი როგორმე, — ფიქრობდა ტაცი.

გავიდა ერთი თვე. დროება გამოიცვალა. ნუმერიც ბოლოს ჩაეარდა ხიფათში: იმპერატორი რაღაცაზე გაურისხდა და ვასცა სასტიკი ბძანება, რომ მიეკათ იგი ლომებისთვის დასავლეთკად. ეს უსასტიკესი დასჯა იყო. შეეძლო ქონება ჩამოერთმია ნუმერიისთვის და გაეგზავნა შორ ქვეყნებში საცხოვრებლად, მაგრამ მას ასიამოვნებდა სისხლის-შსმელობა და ისურვა თავისი მხლებელი ლომებისთვის მიეგდო.

— დაე ჩაიგმრიელონ ლომებში, — სთქვა მან დაკინძით: — შეიძლება გემრიელი იყოს...



ქართული  
საბჭოთაო

მშვიდად იყო ნუმერი, როცა მასთან მივიდნენ სხვები და დაატუსაღეს. ერთ წუთსაც არ დაუკარგავს სულის სიმშვიდე; როდესაც გაიგო იმპერატორის განკარგულება, ის წყნარად გამოეთხოვა თავის შინაურებსა და მონებს და გაჰყვა დარაჯებს. მხოლოდ გული სწყდებოდა, რომ მეტად ვეღარ ნახავდა პატარა ტაცის. ახლა, უკანასკნელ წუთებში—მისი მოშორება აუტანელად მოეჩვენა. თითონაც არ მოელოდა, რომ ასე მხურვალედ შეუყვარდებოდა ბიჭი.

ნუმერი ერთბაშად არ მიუგდეს ლომებს და ჩაჰკეტეს სიბნელეში. რალაც გამოურკვეველ თინის გამო იგი ინახულა თვით იმპერატორმა: უთუოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ ეჯერებინა გული.

— სალამოს მოვლენ შენტან მეციხოვნენი, — უთხრა მან: — დაგიკერენ და ჩაგადებენ ლომებთან; იქ ღამეს გაატარებ იმათთან. თუ ლომები არ შეგტამენ ამაღამ, მაშინ დილით გაგანთავისუფლებ. მე თითონ ვნახავ.

ნუმერიმ ზურგი შეაქცია. შეეშინდა, რომ იმპერატორს არ შეემჩნია მისი მღელვარება. როდესაც ის საკანში, და არა ლომებთან, ჩააგდეს, კიდევ ჰქონდა იმედი, რომ იქვე დასტოვებდნენ, მაგრამ იმედი გაუსრუდა. ღრმა ორმო მიწაში იყო ამოთხრილი და თავზე ეხურა ფიცრული თხელი კარი. ქვევით, ორმოს ძირში, იძროდნენ მშვიერი ლომები; ქანცვაწყვეტილნი, მოუთმენლად ელოდნენ, როდის ახდიდნენ ორმოს სახურავს და გადმოუგდებდნენ რომელსამე დასჯილ ადამიანს, ან მკვდარ ცხენს.

იმპერატორი კიდევ მის წინ იდგა; უთუოდ ელოდა: „შენდობას მთხოვს, ფეხ-ქვეშ დამივარდებო“.



მაგრამ ნუმერი ამაყი იყო და არაფერი არ სთხოვდა.

— მე შენ კიდევ გიმეორებ: თუ ხვალ მზის ამოსვლისას კოცხალი იქნები, გაძლევ თავისუფლებას.

ნუმერიმ ერთი სიტყვაც არ უთხრა.

ტიბერიმ შეაქცია ზურგი და გარედ გავიდა. დაიგრილა კარებმა, ახმაურდა ბოჭლომები და ნუმერი მარტო დარჩა. აღბად მას აღარ შეიბრალებენ. სამი ოთხი საათის შემდეგ, როცა შელამდება, შემოვლენ მასთან დარაჯები, ხელს სტაცებენ და ლომებს ჩაუგდებენ.

— სუ, ეს რა ხმაა? ისევ ბმურობს კარი და ახზილდა რაზი. ნუ თუ ასე ჩქარა მოახლოვდა საღამო? არა, ეს დარაჯები არ არიან. კარი იღება და შემოდის პატარა ბიჭი, შემოებზევა ნუმერის კისერზე და დაუწყებს კოცნას.

— ტაცი!— წამოიძახა სიხარულით ნუმერიმ.— როგორ, რა გზით, რა ბედით მოხვედი აქ?

— მეციხოვნეს ვსთხოვე, და იმან შემომიშვა,—სთქვა ბავშვმა.

— გამოსათხოვებლად მოსულხარ?

— არა, ბატონო, შენ დასახსნელად მოვედი.

— შენ, ჩემ დასახსნელად? ვანა ეს შეიძლება? რა უნდა მიშველო შენ, პატარა ბიჭმა?

ტაციმ წყნარად დახარა თავი და წამოწითლდა.

— გახსოვს, ბატონო, ერთხელ ვიამბე, როგორ მოარჩინა ბებია ჩემმა ერთი კაცი, როგორ მოარჩინა ერთხელ ავადმყოფი კატა; ბებია ამ აყნოსებინა რაღაცა, და კატამაც დიძინა.

— ჰო..

— მე მოგიტანე ის წამალი.



— რომ შეც დაიძინო?

— არა, რომ ლომებმა დაიძინონ.

ბიქმა გაუწოდა შუშა, რომელშიდაც იყო რაღაც სუნიანი ბალახების წვენი.

— წაიღე ეს, ბატონო! ხომ მოგეხსენება, ყოველი კატის ჯიშის ცხოველი, სანამ შესქამდეს მსხვერპლს, უთუოდ დაჰყნოსავს. ესე მითხრა ბებიამ... აი, წაისვი ტანზე ეს სითხე. ლომები, როცა დაგყნოსავენ, დაიძინებენ.

ნუმერიმ თავზე ხელი დაუსვა პატარა ბიქს.

— ჩემო ძვირფასო, ყველა ეს ზღაპარია.. ან ქალების გამოგონილი ოცნება. განა შეიძლება, რომ მშვიერი ლომები ერთბაშად არ დაერივნენ თავის მსხვერპლს? ნუ ვინუგეშებთ თავს ტყუილი იმედებით.

— მაინც სინჯე, ბატონო... კატამ ხომ დაიძინა... საჭიროა, რომ მხოლოდ დილამდის იძინონ ლომებმა..

ციხის კარი კვლავ აკრიალდა. მცველმა შემოჰყო თავი და დაუყვირა ბიქს: შენი წასვლის დრო არისო.

ტაკიმ შეუმჩნევლად ჩაუღო შუშა ხელში ნუმერის, ერთიკ მოეხვია, აკოცა და ცხარე კრემლით მტირალი გავიდა ციხიდან.

როცა ისინი გავიდნენ, ნუმერიმ კბილით ამოაძრო შუშის საცობი და მთელ ტანზე წაისვა სითხე.

— რაც იქნეს და იქნეს: შეუსრულებ სურვილს ჩემ საყვარელ ბიჭიკოს.

შუალამე გადასული იყო. ვიღაც კაცები შემოვიდნენ და წაიყვანეს ნუმერი. კეთილშობილი რომაელი მტკიცე ნაბიჯით გაჰყვა მათ ლომების ბუნაგისაკენ. დარაჯებმა მძიმედ ასწიეს კარი და ნუმერი ორმოში ჩაუშვეს.



ირგვლივ მკედრული სიჩუმეა. ყველას სძინავს... არის მის კენესა სიბრაღულისა... მაგრამ ეს უკეთესია. ხალხს არ უყვარდა ნუმერი, შურის თვალით შესცქეროდა. მასაც არ უნდოდა ხალხის თანაგრძნობა.

აი, ნუმერი ორმოშია. მკველები წავიდნენ და მარტო დასტოვეს ის, ლომებთან ერთად. ლომები წამოდგნენ და მანდა-გაღვიძებულნი წკმუტკუნით მიუახლოვდნენ ნუმერის. სიბნელეში ცეცხლივით უნათებდათ თვალები. გააღეს პირი, მოილესეს თავისი მრუდვ კბილები; ერთი წუთი—და ეს კბილები ჩაესობოდა რომაელის ნაზ ტანში.

საწინელებაა. ნუმერი ხუკავს თვალებს და გრძნობს, რომ მთელი ტანი უცივდება. აი, მხეცები მიდიან მასთან, ყნოსავენ ყოველ მხრიდან; თვალები ებნიდებათ, ეხუკებათ. ერთი ლომი მოშორდა ამხანაგებს და უგონოდ დაეცა ძირს. მეორეს უნდა შეებრძოლოს ძილს, მაგრამ წამალი სძლევეს და ისიც მიწაზე ეცემა. მესამე გაბრაზებით მივიარდება, უნდა ბასრი კბილები ჩაასოს ხორცში, მაგრამ არ შესწევს ძალ-ლონე, და, როგორც მორჩილი ძაღლი ბატონის წინაშე, ისე იძინებს ნუმერის ფეხებთან. მაშინ ნუმერიმ შემოიკრება მთელი თავისი ძალ-ლონე, მოიშორა სამოსელი, დახია ზონრეზად, კბილების დახმარებით, და შეუკრა ლომებს ფეხები და პირი.

ახლა მას დამშვიდებით შეუძლია დახედეს განთიანს. მაგრამ როგორი სიმშვიდე უნდა იგრძნოს ადამიანმა ორმოში, ლომებთან ერთად? მათ ხომ ყოველ წუთს შეუძლიათ გაიღვიძონ, დასწყვიტონ ფალასები. მერე ვინ იცის, გასტანს ლომების ძილი დილაშდის, თუ არა. ახლა-კი იმათ სძინავთ, მაგრად სძინავთ.

ბოლოს ცა თანდათან განათდა. ნუმერი ხედავდა ორმოს სახურავის ნახვრეტებში, როგორ ერთი მეორეზე ჰქრებოდნენ ცაზე ვარსკვლავები.

შის შუქი მოეფინა სამყაროს, ახმაურდა ყველაფერი; გაისმა მერცხლების კიკიკი.

ბრწყინვალე მზემ ორმოში დატყვევებულსაც-კი ჩაანათა თავისი სხივები. თან-და-თან იღვიძებდა ბუნება, და ნუმერისაც თან-და-თან ეკარგებოდა მოთმინება და შფოთაედა. ახლა, რა თქმა უნდა, ყველას ჰგონია, რომ ის დიდი ხანია ჩაყლაპეს მხეცებმა. ვის ექნება სურვილი მივიდეს ორმოსთან და შიგ ჩაიხედოს. იქნებ იმპერატორს უკვე დაავიწყდა თავისი დაბრუნება და არ ინებოს მობრძანება. ნუმერიმ დაიკრიფა გულზე ხელები, აიხედა მაღლა და სახურავის ჯუჯრუჭანებიდან დაუწყო ცას თვალიერება.

რაღაც ხმაურობა მოისმა, თან-და-თან უახლოვდება. აი, ვილაცაები მოვიდნენ ორმოსთან. ნუმერის გული გაეყინა: ნუ თუ ისე გაიფლიან, რომ არ ჩაიხედავენ ორმოში? მაგრამ ის შესცდა: ერთი წუთის შემდეგ ორმოსთან მოვიდა თვით იმპერატორი, ჩაიხედა შიგ, განცვიფრდა და თვალებზე მოისხვა ხელი.

— ეს რაღაც დაუჯერებელი ამბავია,—სთქვა მან.

— ამ კაცის წინაშე თვით ლომები დამშვიდდნენ, და ნუ თუ მე ვერ დავაფასე იგი?

ნუმერიმ არ იცოდა, რა მოჰყვებოდა იმპერატორის მობრძანებას; ამიტომ ცალი ფეხი დაადგა ლომს და ჰკითხა იმპერატორს.

— რას მიბრძანებ კიდევ, კეისარო?

იმპერატორს შერცხვა თავის სისასტიკის.

— მე შენ გიბრძანებ ამოხვიდე ამ ორმოდან! — ურულ სთქვა მან. — მე შენ გიბრძანებ იყო ჩემი უახლოესი მრჩეველი, რომელსაც ღირსეულად დავაფასებ მთელ ჩემ სიცოცხლეში. დარაჯებო, მოეხმარეთ და ამოიყვანეთ საჩქაროდ ორმოდან.

ორი წუთის შემდეგ ნუმერი უკვე თავისუფალი იყო და აღტაცებით შესცქეროდა მზეს, ცას, ხეებს, ბალახებს, რომლებიც ახლა უფრო ლამაზად ეჩვენებოდა, ვიდრე მთელ მის სიცოცხლეში. ძლიერ მოასწრო ორმოდან ამოსვლა, რომ პატარა ტაციმ მოირბინა მასთან და გახარებული ჩამოეკიდა ყელზე.

— ბატონო, რადა ხარ ასე მოხუცივით მთლად გათეთრებული? — უთხრა მან: — მხოლოდ ერთმა ღამემ გაიარა, შენ კი თოვლივით გათეთრებულხარ.

იმპერატორი თავის მხლებლებით წავიდა. ნუმერი და ტაცი დარჩნენ მარტოკა. ნუმერიმ დაუქირა ხელი და წაიყვანა თავის სახლში. მას ძალიან სწყუროდა. მივიდა ერთ შადრევანთან და დაეწაფა. წყლის ზედა პირზე გამოისახა მისი გათეთრებული თავი. ის ოცდაათი წლის იყო, და ერთ ღამეში კი გაქალაქავდა.

— ტაცი! — სთქვა მან: — მე ახლა უკვე მოხუცი ვარ. ვინაშე მეტი მიუღია, იმას მეტი მოეთხოვება. რა ბედნიერია ის, ვინც ცხოვრობს მყუდროდ და განმარტოებით, ვინც არ ესწრაფვის წარჩინებას და ამოცხადებს ყურადღებას არ აქცევს! როდესაც დიდი გაიზრდები, წყნარად აკეთე ის საქმე, რომელზედაც ღმერთი დაგაყენებს. ნუ ელოდები საჩუქარს, და



ნუ ეძებ დიდებას. მაშინ არ ჩავარდები ჩემ მდგომარეობაში და ვერავითარი ტიბერი ვერ მიგივდებას ლომებს შესაქმელად.

და ხელში აყვანილი შეიყვანა ტაცი სახლში.


— ყოველივე ეს გეკუთვნის შენ. ახლა შენ ჩემი ხარ, და მეც ყველაფერს გაძლევ შენ! — სთქვა მან.

ბიჭი გაუსხლტა ხელიდან და წკრიალა სიცილით გაიქცა ბაღში.

ნუმერი დიდხანს იდგა კარის ზღუდეზე და გაჰყურებდა, როგორ თამაშობდა ტაცი ძაღლებთან.

### მარიამ გარიყული.





## ძვირფას აკაკის ხსოვნას

ესრულდა სწორედ ერთი წელიწადი, რაც გადაიცვალა დიდებული პოეტი აკაკი. უკვე ერთი წელიწადი მას შემდეგ, რაც საქართველოს ყოველმა კუთხემ, თითქოს სხვა მწუხარება დაივიწყა და წარმოადგენლები გამოგზავნა მგონის დასაფლავებაზე დასასწრებლად. მთელი ერი ერთად ჰგლოვობდა და დასაფლავებდა სასიქადულო შვილს. ყველას ახსოვდა, რომ აკაკი იყო გამ-



ქართული  
ლიტერატურის  
მემორიალი

ქარვებელი სევდისა და მწუხარებისა და უნდოდან უკანასკნელად გამოეთქვათ მის წინაშე თავისი მწუხარება. სწორედ აკაკის დასაფლავებაზე გაისმა პირველად ტანჯულ ქართველ მაჰმადიანთა მწვავე თხოვნა-ვედრება და ყვედრება.

მართლაც უკეთესი დროის არჩევა ძნელი იყო. საქართველო მიწას აბარებდა თავის მანუგეშებელს და განა შეეძლო დიდი ყურადღება არ მიექცია მისდამი მიმართულ თხოვნისათვის?

გულოადა კაიკაციშვილმაც სწორედ განსვენებულს მიმართა თხოვნით და შეევედრა მას, — ეშუამდგომლა და ქართველ ქრისტიანთა ყურადღება მაჰმადიან ქართველებისაკენ მიექცია.

განა ამავე დასაფლავებაზე არ იყო მაჰმადიანთა მიერ ხმა-მალლად გამოცხადებული ძმური გრძნობა ქართველებისადმი?


ყველა ეს რამდენიმე ათასს ქართველ, თათარ, სომეხ და სხვათა წინაშე იყო წარმოთქმული და კავკასიის ეროვნებათა კავშირის წადილმა თითქო ერთი ნაბიჯი გადადგა წინ.

ამ დღიდან თათქოს აკაკის კურთხევით დაჩქარდა აქარელთა შველაც და კავკასიის ერთა სოლიდარობის გამორკვევაც.

ყველა იცნობდა აკაკის სიკოცხლეში; იშვიათი იყო ქართველი, რომელიც მის ლექსებს მწუხარების დროს არ გაიხსენებდა და ლილინით თავს არ გაირთობდა. მისი სიკვდილის შემდეგ კი ყველამ იგრძნო, რომ ეს დღე ეროვნული თვითშემეცნების დღე იყო და მწუხარებაში უნდა გამოექედათ აკაკის ცხედარის გარშემო შეგროვილ ქართველებს კულტურ-



რული მკვეთრი იარაღი— ძმობა-ერთობით ბნელ ძალებთან  
 საბრძოლებლად.



ასეთი იყო აკაკის მოღვაწეობა და ამ მცნებამ ამ დღეს  
 შეაერთა კავკასიის ხალხნი.



მთაწმინდაში დასაფლავებულ მგოსნის საფლავიდან დაპყრებს ტფილისს და ყოველთვის აგონებს ქართველებს, რომ იმ აღთქმას, რომელიც გამოცხადებული იყო დასაფლავების დღეს, შესრულება უნდა.

არ დადუმებულა აკაკის ლექსებიც. ისინი უფრო მტკიცედ იკაფავენ გზას ადამიანის გულისაკენ და სამუდამოდ მკვიდრდებიან იქ. თუ წინად მხოლოდ ლამაზ სიტყვათა კეთილზმოვანება იზიდავდა ხალხს და ტკბილ ლილინით ატკობდა, დღეს უფრო სიტყვაში გამოთქმულ აზრს აკვირდებიან.

ყველამ იცის, რომ ადამიანის მოღვაწეობას თანამედროვენი ისე კარგად ვერ აფასებენ, როგორც შთამომავლობა და აკაკის სავსებით დაფასება მომავლის საქმეა. მხოლოდ მომავალი თაობა შესძლებს მიუდგომელი თვალით მისი მოღვაწეობის განხილვას, საქართველოს ეროვნულ-კულტურულ ცხოვრებაში აკაკის ძვირფასი ღვაწლის გამორკვევას.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურული ნაშრომის დაფასება შეუძლია მხოლოდ კულტურულ ხალხს და ჩვენც ყველამ უნდა შევეცადოთ თითონ შევისწავლოთ და სხვათაგან შევისწავლოთ აკაკის ნაწერები. ბევრი მოიპოვება ჩვენში ისეთი, რომელსაც სულით და გულით სურს წაიკითხოს მისი ლექსები, მაგრამ არ შეუძლია, რადგან წერა-კითხვა არ იცის. და აი, ვისთვისაც ძვირფასია აკაკის ხსოვნა, უნდა შეძლება მისცეს ხალხს თავისი სურვილი შეასრულოს.

აკაკის სურვილი იყო ხალხურ პოეტურ ნაწარმოებთა შეგროვება. ჩვენ ამას უნდა მივუმატოთ მისი ნაწერის ხალხში გავრცელება. თუ ჩვენ ამას ვიკისრებთ და ხელს შე-



ქართული  
საბჭოთა  
საზოგადოებრივი  
მედიის ცენტრი

უწყობთ, მაშინ თამამად შეგვიძლია 26 იანვარს წარვადგინოთ აკაკის საფლავთან და შემდეგი სიტყვებით მივმართოთ:

— იძინე მშვიდად, დილო მგოსანო, შენ მიერ მოცემული მცნებანი არ დაგვივიწყნია და ვეცდებით შენ მიერ დათესილი თესლი მარტო ჩვენთვის-კი არ გავახაროთ, არამედ სხვა-საც გაუნაწილოთ და ჩვენი სიკოცბლით სხვებიც ვაცოცბლოთ.

ი.





# სამკურნალო ხელოვნება და სახელ-განთქმული მკურნალები

(წერილი პირველი).

## I



კანასკნელ დრომდე მეცნიერებს ეგონათ, რომ სამკურნალო ხელოვნების სამშობლო საბერძნეთი იყო. მაგრამ ეს მართალი არ გამოდგა: აღმოჩნდა, რომ ბერძენებზე გაცილებით ადრე სამკურნალო ხელოვნება გავრცელებული და საკმაოდ განვითარებული ყოფილა ინდოეთსა და ეგვიპტეში. ინდოელები და ეგვიპტელები უბსოვარ დროიდან ბეჯითად აკვირდებოდნენ ბუნებას და კდილობდნენ ამა თუ იმ საშუალებით შეემსუბუქებინათ ავადმყოფთა ტანჯვა. ინდოელთა სამკურნალო ცნობანი შეკრებილია ერთ წიგნში, რომელსაც ეწოდება **იაჯურვედა**, და დაწერილია მეცხრე საუკუნეში ქრისტეს შობამდე. პირველად მკურნალობას მარტო **ბრამინები** (მღვდლები) მისდევდნენ, მაგრამ მათგან მალე გამოეყო ცალკე ჯგუფი მკურნალოთა, რომელსაც ერქვა **ვედია**. ბრამინები ხალხს მუქთად

სწამლობდნენ, ვედიები კი სასყიდელს იღებდნენ; მაგრამ თითონ სწავლა მკურნალობის ხელოვნებისა კვლავ ბრამინების ხელში იყო. მასწავლებელ ბრამინებს ეწოდებოდა გურუსენი აკითხებდნენ მოსწავლეთ სამკურნალო წიგნებს, უხსნიდნენ ძნელ ადგილებს, ასწავლიდნენ წამლების კეთებას და თვით ავადმყოფთა წინაშე წამლობასაც ასწავლიდნენ. სწავლის სისრულისათვის, მოსწავლენი და მასწავლებლენი ხშირად მოგზაურობდნენ დაბა-სოფლებში, ეცნობოდნენ სხვა გურუებს და სწავლობდნენ მათგან სხვა-და-სხვა ავადმყოფობათა რჩენასა და წამლობას...

სწავლის დამთავრებისას ახალგაზდა მკურნალს აძლევენ მკურნალობის უფლების მოწმობას და ართმევდნენ პირობას, რომ იგი ამის შემდეგ მუდამ სუფთად ჩაიცივას, წვერს გაიკრეკავს, ფრჩხილებს დაიკრის, ყველას თავდაბლად მოეკცევა, თავდაქერილად ილაპარაკებს, არავის აწყენინებს, პირველ დამახებახედვე წავა ავადმყოფთან, ბრამინებს უსასყიდლოდ უწამობებს, ხელს არ მოჰკიდებს ისეთი სენის წამლობას, რომლის მორჩენა არ შეუძლიან და სხვა...

დიდ წარმატებაში იყო ინდოელებში აგრეთვე **დოსტაქრობაც** (დასნეულბუღი ადგილის გაქრით წამლობა): იმათ მშვენივრად იცოდნენ შირიმის ქვების გამოღება, შავი წყლის გამოღება თვლიდან, მკერდის გაქრა ჩირქის გამოსაღებად და სხვა. დიდ ყურადღებას აქცევდნენ აგრეთვე **ჰიგიენასაც**, \*) რაზედაც მათ დაწერილი აქვთ ბევრი კარგი წიგნი. ამ წიგნებში დაწვრილებით არის განმარტებული მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის ჰაერისა, დროთა ბრუნვისა, სასმელ-საკმელისა და სხვა. ახალი სანოვაგე ყველაზე მეტად უწყობს ხელს ჯანსაღობასა; სასარგებლოა აგრეთვე ბანაო-

\*) მკენიერება, რომლის ხაგანია სხეულის სუფთად და ჯანმრთელად შენახვა.



ბა და სხეულის დაზღვევა საცხებლებითაო. საქმელებში საუკეთესოა: ახალი ხორცი, თაფლი, რძე და ცხოველთა დაწმენდილი ქონიო. მაგარ სასმელების სმა არ ვარგაო. მათ სამკურნალო წიგნებში აწერილია 760-ზე მეტი მკენარე; თვითეულზე სწერია როდის და სად უნდა მოკრიფო და როგორ შეინახო, ანუ წამალი როგორ მოამზადო. წამლად ხმარობდნენ აგრეთვე ლითონებს და მიწალებს: ვერცხლსა, ოქროს, სპილენძს, გვარჯილას, ბორაკს და სხვა. ცდილობდნენ გამოეგონათ ისეთი წამალი, რომ კაცი მუდამ ახალგაზდა და უკვდავი ყოფილიყო. ეს ცდა მათგან შემდეგში არაბებმა შეითვისეს და ამათგან—ევროპიელებმა. როგორც ცხელი ქვეყანა, ინდოეთი სავსეა შხამიანი გველებით და მწერებით, ამიტომ ძალიან გავრცელდა იქ გველის ნაკბენისა და საზოგადოდ შხამის წინააღმდეგ წამლობა. ინდოელების ცოდნას ამ საქმეში ბევრი არაფერი შეუძლია მიუმატოს ევროპის დღევანდელ მკურნალობასაც. ინდოელების წიგნებში დაწვრილებით არის აწერილი ისიც, თუ როგორ უნდა მოუპარონ ბაღლს, როგორ აკამონ, როგორ უწამლონ. დაწვრილებით აქვთ აწერილი აგრეთვე ბევრი შინაგანი და გარეგანი ავადმყოფობა—ციებ-ცხელება, ქარები, სულით ავადმყოფობანი, მუწუკები და სხვა. მით უფრო გასაკვირველია ყველა ეს, რომ ინდოელებმა უკანასკნელ დრომდე ბევრი არაფერი იცოდნენ ადამიანის სხეულის ანატომია \*) ფიზიოლოგიიდან \*\*). ინდოეთიდან სამკურნალო ხელოვნება და მეცნიერება გავრცელდა ჩინეთ-იაპონიასა და ტიბეთში. პირველი მკურნალები ამ ქვეყნებში იყვნენ ინდოეთიდან გადმოსული ბუდღისტები...\*\*\*)

\*) ანატომია—სხეულის აგებულების აწერა.

\*\*\*) ფიზიოლოგია—მეცნიერება, რომელიც იკვლევს სხეულის სიცოცხლის კანონებს.

\*\*\*) ბუდღას სარწმუნოების მიმდევარნი.

## II

ინდოეთს გარდა სამკურნალო ხელოვნება და ჰიგიენა დიდად იყო გავრცელებული და საკმაო სიმართლებზე აყვანილი აგრეთვე ეგვიპტეში. ეს ხელოვნება აქაც ქურუმების (მღვდლების) ხელში იყო, რის გამოც ავადმყოფები ტაძრებში მოჰყავდათ მათთან. ასე რომ უწინდელი ტაძრები ერთ და იმავე დროს სამლოცველოებსაც წარმოადგენდნენ და საავადმყოფოებსაც. სამკურნალო ხელოვნებას ეგვიპტეში საგანგებო სკოლებში ასწავლიდნენ და მასწავლებელნი იგივე ქურუმები იყვნენ. დიდი და საპატიო ადგილი ეკავა ამ ქვეყანაში აგრეთვე ჰიგიენას. აქ ყველაფერი—ჩაცმა, დახურვა, ჰამბა, საქმელი, ძილი, ბანაობა, მუშაობა, მოსვენება, — ყველაფერი დაწვრილებით იყო გარკვეული და შედგენილი. ბევრი ამ წესთაგანი მიღებულ იქმნა მათგან ებრაელების მიერ და შეტანილი ამათ საღვთო წერილში მოსე წინასწარმეტყველისა და სხვებისგან. ყოველ სამ დღეში (ზოგიერთების აზრით—ყოველ სამ თვეში) კაცმა სასაქმებელი უნდა მიიღოს და მით გვაში გაიწმინდოს, დრო—გამოშვებით მარხვა შეინახოს და სხვა. ეგვიპტელებს ჰყავდათ საგანგებო ამწერნიც, რომლებიც ადგენდნენ ყოველდღიურ, ყოველთვიურ და ყოველწლიურ სიებს დაბადებულ-მიცვალებულთა და აღნიშნავდნენ შიგ სიკვდილის მიზეზებსა; იცოდნენ 700-ზე მეტი წამალი, რომლებსაც აკეთებდნენ ბუნების სამივე სამეფოდან. იცოდნენ ხაშიშის და თრიაქის ხმარებაც. ეგვიპტელების აზრით, ადამიანის სხეულს 50 წლამდის ყოველ წელიწადს  $1\frac{1}{2}$  მისხალი ემატება, მის შემდეგ-კი კლებულობს და აქედან წარმოსდგება სიკვდილი. ძუძუმწოვარ ბავშვებისთვის საკირო წამალს დედას აძლევდნენ, ძუძუს წოვების დროს ბავშსაც შეერგებო. წამალს ხშირად პურშიაც ურევდნენ და ისე აძლევდნენ ავადმყოფებს. იცოდნენ აგრეთვე ხელოვნური კბილების და პლომბის გაკე-




თება. ძალიან იყო მათში განვითარებული აგრეთვე უფროდ ბის რჩენა და წამლობა. შესანიშნავია, რომ **ეგვიპტური სი-სხლნაკლებობის** მიზეზი, რომელიც ევროპელებმა მხოლოდ უკანასკნელ დროს ახსნეს-ერთგვარი მიკრობისაგან წარმოს-დგებაო, ეგვიპტელებს ზედმიწევნით ჰქონდათ ახსნილი უძვე-ლეს დროიდან.

### III

საბერძნეთში სამკურნალო ხელოვნება გავრცელდა ეგვი-პტედან. პირველი მკურნალები აქაც ქურუმები იყვნენ. ავად-მყოფებს ესენიც თავიანთ ტაძრებში იღებდნენ. საბერძნეთში ტაძრები ისე იყო აშენებული, რომ ისინიც ერთ და იმავე დროს სამლოცველოებსაც წარმოადგენდნენ და საავადმყო-ფოებსაც. ტაძრის შუაგულში ჩვეულებრივ თვით სამლოცვე-ლოს და საკურთხეველს აკეთებდნენ, ხოლო მათ გარშემო, მზისა და ჰაერის გულზე, — მლოცველთა და მათ ავადმყოფე ბისათვის სადგომებს. ეს იყო მიზეზი, რომ ის ტაძრები, რომ-ლებიც სხვებზე უფრო საღ და მარჯვე ადგილას იყვნენ აგებულნი და თან საუკეთესო ჰაერი, წყალი და სადგომები ჰქონდათ, ასეთი ტაძრები დიდძალ ხალხს იზიდავდა თვით უუშორეს ადგილებიდან. ასეთი ტაძარი საბერძნეთში 320 იყო. მაგრამ, რადგანაც ქურუმებმა არაფერი არ იცოდნენ ადამიანის სხეულის შინაგანი მოქმედების შესახებ, ამიტომ არც წესიერი წამლობა შეეძლოთ ავადმყოფებისა და ისევ თვალთმაქცობით თუ ტყუილებით, თუ ჯადოთი და გრძნე-ბა-მოხიბლევით ცდილობდნენ უმეცარი ხალხს ავადმყო-ფობისაგან მორჩენას და გამოჩენას. მეტად გახშირე-ბული იყო მათში ეგრედწოდებული **სიზმრით** წამლობა. ავადმყოფს დააწვენდნენ შიგ ტაძარში და ეტყოდნენ: მთელ დღეს აქ მხურვალედ ილოცეო! ავადმყოფი, რა თქმა უნდა,

ასრულებდა ამას. შემდეგ ღამე ავადმყოფს იქვე დააძინებდნენ. სიზმარში ღმერთი გამოგვცხადებდა და გეტყვის—მორჩები თუ მოკვდებიო...



ჰიპოკრატე არცხვენს მოგვებს, —ავადმყოფებს გველეშის საშუალებით მორჩენას ჰპირდებით, ატყუებთ ხალხსო.

გახშირებული იყო მათში აგრეთვე გველეშით რჩენა ავადმყოფებისა და სხვა. ასეთ მდგომარეობაში იყო მკურნალობის საქმე საბერძნეთში მეხუთე საუკუნემდის ქრისტეს შობამდე. 460 წელს-კი, საბერძნეთის ერთ პატარა კუნძულზე, მცირე-აზიის კიდეების ახლო, დაიბადა კაცი, რომელმაც გაბუდულად დაჰგმო მოგვებისაგან ასე უაზროდ წამლობა ავად-



მყოფებისა და ნამდვილ სამეცნიერო გზასა და საფუძვლებს დააყენა იქ სამკურნალო ხელოვნება. ეს კაცი იყო **ჰიპოკრატე**.

ჰიპოკრატის მამა, **ჰერაკლიდი**, აგრეთვე მკურნალი იყო. მკურნალები იყვნენ აგრეთვე თვით ჰიპოკრატის ორი შვილი-**თესალიონი** და **დარაკონი**, აგრეთვე მისი სიძე **პოლიბი**; მაგრამ ყველა ესენი დაჩრდილა თვით ჰიპოკრატმა, რომელიც ისეთი მკოდნე იყო მკურნალობა-სა და ისე ადვილად არჩენდა ავადმყოფებს, რომ თანამედროვენი მას ღმერთების შთამომავლად სთვლიდნენ...

მკურნალობას საბერძნეთშიაც საგანგებო სკოლებში ასწავლიდნენ. ასეთი სკოლები ბევრი იყო საბერძნეთში, მაგრამ საუკეთესო-კი კუნძულ კოსოზე იყო, სადაც სწავლობდა და სწავლა გაათავა ჰიპოკრატმა სწავლის გათავების შემდეგ ჰიპოკრატმა მოიარა ყველა მაშინდელი ქვეყნები, გაეცნო მაშინდელ ცნობილ მკურნალებს და ბევრი ახალი რამ ისწავლა მათგან. მოიარა აგრეთვე ყველა შესანიშნავი ტაძრები, სადაც მაშინდელ ჩვეულებისამებრ გამოკიდული იყო კედლებზე სამკურნალო ცნობა-დარიგებანი და ესენიც კარგად შეითვისა. ჰიპოკრატმა ისე დაწვრილებით იცოდა ყოველი ავადმყოფობის მსვლელობა, რომ შეუცდომლად შეეძლო გამოეცნო მისი ესა თუ ის შედეგი, ე. ი.—შემსუბუქება თუ გაძნელება, მორჩენა თუ სიკვდილი. ეს იყო მიზეზი, რომ მისი სახელი, როგორც გამოჩენილი მკურნალისა, შორს იყო გავარდნილი და მაშინდელი მეფეები ერთმანერთს ეცილებოდნენ მის მოსაწვევად თავის კარზე. მაგალითად, სპარსეთის მეფე არტაქსერქსმა დიდი ფული და პატივი აღუთქვა, ოღონდ ჩემთან ვადმოდიო, მაგრამ ჰიპოკრატს ისე უყვარდა საშობლო, რომ უარი შეუთვალა.

ავადმყოფობათა მიზეზებს ჰიპოკრატე ჰყოფს ორად: საზოგადოდ და პირადად. საზოგადო მიზეზებიაო—ჰაერისა, ნია-

დაგისა და მემკვიდრეობით გადმოცემულ სენისაგან წარმოადგინა დგარი პირობებიო; ხოლო პირადი მიზეზები—ცხოვრების,



სპარსეთის მეფე არტაქსერქსმა მდიდრული ძღვენი გამოუგზავნა ჰიპოკრატს—ჩემთან გადმოს.ზღდიო, მაგრამ ჰიპოკრატმა უარი შეუთვალა.

შრომის, ჰამა-სმის და საზოგადოდ ყოფაქცევის და ფარეზობის \*) პირობებიო. თუ პირობები ხელს უწყობს ადამიანის აგებულებას, მაშინ ამ აგებულების წვენიც წესიერად ზავდება, და ადამიანი საღად არისო; ხოლო, თუ, პირიქით, უწესო, პირობებია, მაშინ აგებულების წვენიც წესიერად არ ზავდება და ადამიანი ავად ხდებაო... დიდ ყურადღებას აქცევდა ჰიპოკრატის აგრეთვე ავადმყოფების ფარეზობას და ბევრი კარგი დარიგებაც აქვს თავის წიგნებში მოყვანილი, თუ როგორ უნდა შეინახოს ავადმყოფმა თავი, როგორ და რა უნდა ჰა-

\*) წესიერი სმა-ჰამა და თავის შენახვა.



მოს და სხვა... ჰიპოკრატე გადაიკვალა თესალონიკის ქალაქ ლარისაში, 356 წელს ქრისტეს შობამდე, 104 წლისა.

ჰიპოკრატემა დასტოვა მრავალი თხზულება, მაგრამ თანამედროვენი ისეთი განუვითარებელი და უფიცი ხალხი იყო, რომ სრულებით ვერ გამოიყენეს მისი შრომანი. მაგალითად, ერთ-ერთ თავის თხზულებაში ჰიპოკრატე სწერს, რომ სნეულების მიმდინარეობის და მდგომარეობის გამოსარკვევად ფრიად საჭიროა გულისა და ფილტვების მოქმედებისაგან წარმომდგარ ხმათა დაკვირვება და ამიტომ კუდს არ იზამს ექიმი, თუ მილით ბეჯითად ყურს დაუგდებს ამ ხმებსა და შეისწავლისო. მაგრამ ამ მის სიტყვებს მკურნალებმა მხოლოდ ორი ათასი წლის შემდეგ მიაქციეს ყურადღება და გამოიგონეს მილი, რომელსაც დღეს ყოველი მკურნალი ატარებს და ეწოდება სტეტოსკოპი.

ივ. როსტომაშვილი.





# — მკითხველის — — წერილები. —

## ნ ა შ თ ე ბ ი



ოფელ მესხლებში, ჯაყის საზოგადოებაში, ამ სოფელში არის ოთხი ძველთა ძველი კოშკი და ერთიც ვეებერთელა, დიდი ხნის მუხის ხე. კოშკი ცოტათი ჩამონგრეულია, სამაგალითოდ სწორი, დიდი ქვებისაგან აგებული; სიმაღლე აქვს ათი საყენი სიგრძე და სიგანე—რვა არშინი. კოშკი ოთხკუთხიანია. კოშკი ძველ დროში ხუთ-სართულიანი ყოფილა; ფიქვის კარდასაკეტი ჯერ სალია.

მუხის კარებიც ჯერ ხელუხლ ებელი და სალია. მოხუცთა სიტყვით კოშკი სამასი წლის იქნება.

იმავე სოფელში მეორე ძველი კოშკია; სიმაღლე აქვს 11—12 საყენი; სიგრძე და სიგანე—8—8 არშინი. კოშკის გვერდზე მიკრულია ძველად ყოფილ ოთახების კედლები; გარშემორტყმული აქვს ქვის გალავანი, რომელიც ხალხის გადმოცემით, აუშენებიათ ადგილობრივ დედაკაცებს, თავისი ხარჯითა და შრომით. როგორც მოხუცებულებმა მიამბეს, საქმე ასე ყოფილა: ჯერ კოშკი აუშენებიათ მამაკაცებს, და როცა დაუსრულებიათ შემდეგ მოუწვევიათ გამოჩენილი მთიული ოსე-





ბი დასათვალისწინებლად; იმათ უთქვამთ, კოშკი უნდა იქნას შენობიანთ, მაგრამ უშარვლოაო, ესე იგი გალავანი არ არსებობს, და გალავნის შემორტყმა დედაკაცებს მიანდევს.

კოშკი ცოტა ჩამონგრეულია. გალავანი ძლიერ არის დანგრეული, გადმოცემით—რუსებისა და მეხისაგან. სურათები და წარწერები არცერთ კოშკში არ არის.

სოფელ მესხლებში არის კიდევ ერთი სრულიად ჩამონგრეული კოშკი, რომელიც გადმოცემით, მტრებს დაუნგრევიათ და შიგ დიდ ძალი პური დაუწვავთ, რომლის ნაშთი დღესაც ჩანს.

სოფელ მსხლების შერთხე კოშკს სიმაღლე აქვს 6—7 საეენი, სიგანე—9 არშინი, სიგრძე—9 არშინი. კოშკი ოთხკუთხიანია. კედლების სისქე ორი არშინია.

მეხუთე კოშკის სიმაღლე—5—6 საეენია. ცალი მხარე ჩამონგრეული აქვს, სოფელი აღარ უფრთხილდება: იქიდან ქვებს ეზიდებიან.

სოფელ ხაროს მინდორზე, ოსების ჯავის საზოგადოებაში არის ერთი „ბათლომა—ქვა“; სიგრძე აქვს  $1\frac{3}{4}$  არშინი, სიგანე— $\frac{3}{4}$  არშინი. ქვა გძელი და შრგვალია; ნახატები აქვს: ხარი, ჯვარი და პატარა ლომი.

დ. გაგლოშვილი





### ჭადრაკის გამოგონის ჯილდო

დანამდვილებით არავინ იცის ვინ გამოიგონა ჭადრაკი, მაგრამ არსებობს ერთი ძველი ლეგენდა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას თხოულობს: ინდოეთის მეფეს ძლიერ მოეწონა ეს ახალ გამოგონილი სათამაშო და მას სურდა დაეჯილდოებინა გამოგონი; სწორედ ამისთვის მეფემ დაიბარა ის და უბრძანა ეთხოვა მისთვის ჯილდოთ, რასაც-კი მოისურვებდა.

გამომგონმა მოახსენა: „დიდო ხელმწიფევე, ჩემ ჭადრაკის დაფაზე უბრძანეთ მოათავსონ პურის მარცვლები შემდეგის გეგმით: პირველ უჯრედში ერთი მარცვალი, მეორეში—ორი, მესამეში ოთხი, მეოთხეში—რვა, მეხუთეში—თექვსმეტი და ასე ბოლომდე, 64-მდე ე. ი. თითო ახალ უჯრედში ორზე გამრავლებული რიცხვი უკანასკნელ უჯრედის პურის მარცვლებისა და ეს პურის მარცვლები მიბოძეთ მე. ასეთმა უმნიშვნელო თხოვნამ ძლიერ გააოცა მეფე, მან უბრძანა კარის კაცებს, დაეკმაყოფილებინათ მთხოვნელი. მაგრამ დახეთ მის გაკვირვებას, როდესაც მოახსენეს, რომ ამ თხოვნის ას-



რულება შეუძლებელია, რადგანაც საჭიროა რვა წლის უწყის  
 რის მოსაგალი, თუ-კი მთელი დედამიწა იქნება ქვეული სა-  
 ხნავ-სათეს მიწად და დათესილი მხოლოდ პურით. რამდენ  
 პურის მარცვალს თხოულობდა ჭადრაკის გამომგონი?

ე. აღ შიბაია


## შ ა რ ა დ ე ბ ი

(წარმოადგენილი დ. ელაოზაშვილის მიერ)

### I

მეთე ასო ანბანის,  
 აიღეთ დაგვკირდებო,   
 და მის სახელსაც, რასაც ვსვამთ,  
 ხეხილსაც ეკირვებო,  
 შუაზე გავყოფთ, მეორე  
 მარცვალი რომ დარჩებო,  
 პირველ ყოფილსა ასოსა  
 მივაკოწიწებთ ზედაო,  
 და მერე ვბოვებთ ყვავილსა,  
 ორი ასოა—სახელად;  
 პირველს დაეტოვებთ, მეორეს  
 სხვებს შეუერთებთ ჩვენ ხელად,—  
 მივიღებთ ძვირფას სახელსა,  
 ჩვენ გამოჩენილ მწერლისა;  
 ერთგული იყო კომაგი  
 ჩვენი ტანჯული ქვეყნისა.

ქალის სახელი შუაზე,  
 გაპყავი, გადასერეო,  
 მას ანბანს მებუთე  
 ასო ზედ მიაკერეო,



შემდეგ მეორე ქალისაც  
შეაზე გაჰყავი სახელი;  
ყველა ეს ერთად შეჰკინძე  
მიიღებ რასაც რომ ველი.  
თეთრია, პაწაწინაა,  
ზამთრობით ფრინავს ცაშია:  
ძირს რომ დაჯდება, სიპია,  
თითქმის ვერ გახვალ კარშია.

## რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილია დ. ელიაზიშვილის მიერ)

პ,

ქრისტეს  
დაბადების  
დღესას-  
წაული.



” ”



პატარა.  
მისი წი-  
ნაილმდე-  
გი?

”



ქ,



ქ,





ადი  
წიკითხეთ  
უკულმა.



# 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

საქართველოს  
გაზეთების  
კავშირის

## „ნაკადული“—№ 1

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შურნალი გამოდის თვეში ორჯერ

**24 წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ესთხოვთ ხელის მოწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში—გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

### ხელის მოწერა მიიღება

**ტფილისში**— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახელი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძესთან, შ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიშვილთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინსარიძესთან ფოსტაში, ჭ. სამსონ ყაზაიშვილთან უპრავეში. **ოზურგეთში** ჭ. **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—შ. ი. ქავჭავაძესთან. **მიხაილგოვოში**—გაორგი ნაკაშიძესთან. **ყვირილაში**—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი შ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.